პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 34 (1463), პარასკევი, 20 აგვისტო, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი მემკვიდრეობა

დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 55 ტომიანი მეხუთე გამოცემა. ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ხალხის, მთელი მოწინავე კაცობრიობის იდეურ ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინის მოძღვრება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. მის საფუძველზე ჩვენში შეიქმნა მძლავრი ლენინური პარტია, რომლის ხელმძღვანელობით და მუშათა კლასის მეთაურობით მშრომელებმა მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაიწყეს კაცობრიობის განვითარების ისტორიის ახალი ერა, ააშენეს სოციალიზმი და ამჟამად ძლევამოსილად მიდიან წინ, კომუნიზმისაკენ.

ვ. ი. ლენინის იდეები შეიჭრა დედამიწის ყველა ქვეყანაში, ფართოდ გავრცელდა და პროგრესულად მოაზროვნე მილიონობით ადამიანთა გონებას დაეუფლა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელთა დროშა და მოქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელო გახდა. ლენინის იდეები აღაფრთოვანებენ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

დიდი ინტერნაციონალური ლენინური მოძღვრება, რომელიც ღრმად სწვდება საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, მშრომელებს აიარაღებს რეაქციისა და ომის ძალებზე მშვიდობისა და პროგრესის ძალების გამარჯვების რწმენით, იმის რწმენით, რომ გარდუვალად გაიმარჯვებს სოციალიზმი და კომუნიზმი მთელ მსოფლიოში.

ვ. ი. ლენინის ნაშრომებში დამუშავებულია სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების დიადი გეგმა, რომელიც საბჭოთა ხალხმა განახორციელა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოცემულია ძირითადი მითითებანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზების შესახებ.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე გამოცემაში შესულია 9 ათასამდე ნაწარმოები და დოკუმენტი. აქედან ნახევარზე მეტი არ იყო შესული თხზულებათა წინა გამოცემებში და უმთავრესად გამოქვეყნებული იყო ლენინის კრებულებში, ათასზე მეტი დოკუმენტი კი პირველად ქვეყნდება. ბევრი ნაწარმოები, რომლებიც თავის დროზე მხოლოდ უცხოურ ენაზე დაიბეჭდა, ახლა ამ გამოცემაში პირველად ქვეყნდება რუსულად, ასზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც წინათ შემოკლებით იყო დაბეჭდილი, ახლა მთლიანად არის გამოქვეყნებული.

დღეს მილიონობით ადამიანი ლენინურად ცხოვრობს, ღრმად ეწაფება ლენინის ნაშრომებს — სიბრძნის უშრეტ წყაროს, რათა სწორი პასუხი მიიღოს თანამედროვეობის უმწვავეს საკითხებზე და წარმატებით იბრძოლოს კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის.

სიბრძნის ამ უშრეტ წყაროში ჰპოვებს დიად შთაგონებას ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალეროვანი მხატვრული ინტელიგენცია, რომელიც განუხრელად ამდიდრებს სოციალისტური კულტურის საგანძურს. ლენინის უკვდავი იდეები ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის შესახებ წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის, ხელოვნების ყველა დარგის განვითარების საფუძველს.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა ხელს შეუწყობს კიდევ უფრო სრულად დაეუფლონ ხალხთა ფართო მასები დიად ლენინურ იდეურ მემკვიდრეობას და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენონ კომუნისტური საზოგადოება.

„აბესალომ და ეთერი"—ეკრანზე!

ქართული საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად სავსებით სამართლიანად ითვლება ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ქმნილება „აბესალომი და ეთერი". ამ ნაწარმოებში სავსებით გამოიკვეთა ჩვენი ხალხის მუსიკალური გენია.

„აბესალომ და ეთერის" თემა დიდხანს იყო ქართული კინოს მოყვარულთა ზრუნვის საგანი. მას მიეძღვნა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნამუშევარი „ეთერის სიმღერა", მაგრამ ამ თემაზე მუშაობა კიდევ არ წყდება. ცნობილი ქართველი რეჟისორი ლეო ესაკია შეუდგა პირველი ქართული საოპერო ფილმის „აბესალომ და ეთერის" გადაღებას. ეს არ იქნება ფილმი-სპექტაკლი, გადაღებები იწარმოებს ბუნების წიაღში.

ფილმის კოლექტივმა უკვე დაამთავრა ერთი მეტად რთული სამუშაო—მთლიანად ჩაიწერა მუსიკა, რომელსაც ფილმისათვის საჭირო კუპიურებს უკეთებენ დირიჟორებმა ვ. ფალიაშვილმა, დ. მირცხულავამ და პროფ. ლ. დონაძემ. დირიჟორად მოწვეულია ვ. ფალიაშვილი, ლოტბარია გ. ბუხნიკაძე. ოპერის პარტიებს შეასრულებენ: მ. ამირანაშვილი (ეთერი), ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), თ. ზეინკლიშვილი (მურმანი), ლ. გოცირიძე (ნათელა), ნ. ტელუში (მარიხი) და სხვები. უკვე შერჩეული არიან როლების შემსრულებლებიც. ეთერის როლს შეასრულებს ლ. ხაბაზაშვილი, აბესალომისას — ა. მეტონიძე, მურმანისას კი ნ. შარია. როლებს ასრულებენ აგრეთვე ა. ომიაძე, შ. წულუკიძე, ნ. ვიდიანი, დ. დანელია, გ. კოპტავა, გ. ტორონჯაძე, შ. თამუკაშვილი და სხვები. ცეკვების დამდგმელად მოწვეულია ჯ. ბაგრატიონი, ხოლო მუსიკალურ კონსულტანტად — ლ. დონაძე.

ფილმი გაისად გამოვა ეკრანზე.

ყველაზე ლამაზი წიგნი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა წიგნის მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების მეორე საკავშირო კონკურსის შედეგები.

კონკურსის ჟიურიმ უმაღლესი დიპლომი მიაკუთვნა საბავშვო წიგნს „ტამი-ტამი" (მხატვარი ი. ვასილიევი), რომელიც გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ" გამოსცა.

დიპლომები მიეცა გამომცემლობებს: „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურას" (მოსკოვი), „ვაგას" (ვილნიუსი), „ლიესმას" (რიგა), „ბელორუსიას" (მინსკი), „ისკუსტვოს" (მოსკოვი), „სოვეტსკი ხუდოჟნიკს" (მოსკოვი) და სხვ.

კონკურსში სულ მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 83 გამომცემლობა და 102 პოლიგრაფიული საწარმო.

აჭარის მთები.

ფოტო მ. როსტიაშვილისა.

იონ ბინიცა რუმინელი პოეტი

ლექსები

აგვისტო

აგვისტო უჩვეულოდ
სხვაგვარად გამოიყურება.

როცა სასახლე მხრებზე არ გაწევს,
როცა შენს ფერხთით დაეცა ტახტი,
შენც გადააჭდე მკლავი ვაჟკაცებს,
და ამ სიმღერის მოყვარე გახდი.

ხარ ჯანით სავსე, ხარ ახალგაზრდა,
გეძახის ბაღის შრიალ-შრიალი,
შენი დღე უკვე ცად ადიოდა —
წავიდა ღამე კაეშნიანი...

აგვისტოს სულის ამოთქმას ჰგავდა,
ლაღი ტალღაა მღელვარ დრო-ჟამის,
აგვისტო ბრძოლით ავს გაუმკლავდა
აგვისტოს ახლავს ალი დროშების!

აგვისტო ჩვენი ნატვრის თვალია,
მესაიდუმლე ფიქრის ფარულის,
და თვალზე მომდგარ ცრემლს უხარია,
რომ არის მომსწრე ამ სიხარულის!

ოქროს ვარსკვლავი

ძლივს-და მოსჩანდა გლეხ-კაცის
ძირს დაშვებული მხარ-მკლავი,
და სადაც, სადაც, ღრუბლებში
იწვოდა ცისკრის ვარსკვლავი!

გლეხი კი მიწას ერჩოდა,
ქმუხა და ფესვებმაგარი, —
კვლავაც იქ ეგულებოდა
ნაშრომი, ნაამაგარი...

კვლავაც შავ ბელტებს დაჰკვდა
დიდა ანთებულ თვალებით,
როცა მინდორში, უმწეოდ
მოილოგინა წვალებით!

და კვლავაც მიწა ყოფილა
ახალ-შობილის აკვანი —
წამითაც კი არ დაანდო
მიწის მტვერს შვილის გზა-კვალი!..

და სძულდა გლეხ-კაცს საწუთრო,
სძულდა ნატანჯი მთა-ველი...
მაგრამ დღე დადგა! — დაიხსა
ჯეჯილმა ოქროს თაველი!

მოვიდა სულ სხვა აგვისტო,
სულ სხვა სიმღერა-ხალისი. —
სოფლის თავკაცად აქცია
გლეხ-კაცი შესაბრალისა.

ხელით ცას მისწვდა ქვეყანა
და რჩეულ მშრომელს აჩუქა
სწორედ ის ცისკრის ვარსკვლავი —
ბედმა რომ გამოაშუქა.

ზეცით მაღლა ამართავს
ოქროს თავთავებს ფოცხალი —
ოქროს ვარსკვლავით განათდა
გლეხ-კაცის გულის ფიცარი!

სიახლეთა სიახლოვე

ცას რაც უფრო წვდება თვალი —
უსასრულოდ მაღალს,
დრო მით უფრო იმღერებს
ჩემს სიმღერას ახალს.

მარად ჩემი საოცნებო
ღრუბლები და მთები,
ვარსკვლავები — ყოველ ღამით
ფრთხილად ახანთები.

სავანეებოდ იმ ჩარჩოში
ჩახატოს მინდა —
სადაც ჩადგა გუშინწელი
კამკამა და წმინდა!

სადაც ჩუმად ჩაწოლილი
მარტოობა თრთოდა —
ახლა ცეცხლის ფრქვევით ელავს
სიახლენი დროთა!

და ატომის ნაპერწკლებით
გაჩაღებულ ხალისს
ქროლვაც ახლავს, მანქანებით
ამტყდარ ნავ-ქარის!

ადიდებულ დღეთა დიდი
მღელვარება ისმის, —
მზეა ქვეყნად, მზეა ქვეყნად,
მზეა კომუნიზმის!..

კვლავ აფეთქდა მაღაროთა
გული ხმადახშული
და ქარხნებმაც თავისუფლად
ამოითქვეს სული!

მზის კაშკაშა ფერი გვხიბლავს
და სიმწვანე მიწის,
თავდადებულ გარჯამ უხვი
მოსავალი იცის.

იცის!.. ოღონდ კარ-მიდამოს
ასცდეს ავი თვალი...
კარპატების მთებს აჩნია
ჩვენი გზა და კვალი!

ეს ლამაზი მთა-გორები
ლამაზ მინდორ-ველით,
შექმნილია განა ღმერთის
უკუღმართი ხელით,

ეს წალკოტი კურთხეული
და გუმბათი ცისა
როგორ იყო სულიწმინდის
მამისა და ძისა! —

აქ ჩქეფს ჩვენი ბედის წყარო
და სიცოცხლე ლაღი,
სიზმრებს ძალით გამოვსტაცეთ
ჩვენ სამოთხის ბაღი!

გზა მიწაზე გავიკვლიეთ,
წყალზე გავდეთ ხიდი,
აქ ვაქციეთ სიმღერებად
სიყვარული დიდი!

და რაც უფრო წვდება თვალი
ცას ლურჯსა და მაღალს,
დრო მით უფრო იმღერებს
ამ სიმღერას ახალს!..

დავლოცოთ გამრჯე კაცის მარჯვენა!

ღმერთს არ ვცემ თაყვანს,
დრომ თვით გვაჩვენა
წარმავალობა
ძველი ზღაპრების!..
დავლოცოთ
გამრჯე კაცის მარჯვენა,
მარჯვენა ჩვენი და წინაპრების!

ვადიდოთ მამა — ღმერთი კი არა —
მებრძოლი მამა თავდადებული! —
სიმღერით
ცა მან აახმიანა
ჩვენი ღიმილით განათებული.

დავლოცოთ კაცი, —
რომ ეს ქვეყანა
წალკოტად იქცევს
და აყვავილდება!..
ძირს
სამოთხე ცრუ და მკვეხარა!
კაცს მმართებს
უფრო მაღლა ავიდეს!

სიცოცხლეს
როგორ არ ვცე თაყვანი,
არარაობას თუ ჩავთვლი არად! —
აქ ჩვენს მომავალს
უდგას აკვანი,
მისი გზა-კვალი
ვადიდოთ მარად!..

ცად
მამა-ღმერთის სუფევას წავშლი,
ის არც მამაა,
არც მამობილი,
როცა კაცები ავდივართ ცაში
ღმერთი ქარს მიაქვს
თავგაფუფრილი!..

ღმერთს არ ვცემ თაყვანს,
დრომ თვით გვაჩვენა
წარმავალობა
ძველი ზღაპრების!..
დავლოცოთ
გამრჯე კაცის მარჯვენა,
მარჯვენა ჩვენი და წინაპრების!

თარგმნა **კარლო კალაძემ**

---

* 23 აგვისტო სახალხო რუმინეთის ეროვნული დღესასწაულია; 21 წლის წინათ ამ დღეს, რუმინეთი განთავისუფლებულ იქნა ფაშისტური უღლისაგან.

უანგარო მეგობარი

იერომირ იედლიჩკას გარდაცვალების გამო

გარდაიცვალა გამოჩენილი ჩეხი მეცნიერი და ლიტერატორი იერომირ იედლიჩკა. მას ჩვენში კარგად იცნობდნენ და დიდად სცემდნენ პატივს, როგორც ქართველი ხალხის გულითად მეგობარს, ქართული კულტურის უანგარო მკვლევარსა და პოპულარიზატორს. ევროპელ ქართველოლოგთა შორის იერომირ იედლიჩკას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი ი. იედლიჩკა მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება და შეუნელებელი ინტერესის მეცნიერი იყო, იგი მრავალ ენას ფლობდა და მეცნიერულ-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იერომირ იედლიჩკა, განსაკუთრებული გულმოდგინებით სწავლობდა და ჩეხ ხალხს აცნობდა ძველი და თანამედროვე ქართული და სომხური მხატვრული კულტურის მიღწევებს.

საქართველოთი იერომირ იედლიჩკა ოცდაათიან წლებში დაინტერესდა. გაცნობისთანავე გაიტაცა საქართველოს დიდმა ისტორიულმა წარსულმა და მისმა მდიდარმა, უძველესმა მხატვრულმა კულტურამ. მაშინათვე გადაწყვიტა ქართული ენა შეესწავლა და უშუალოდ დედანში გაცნობოდა ჩვენი კულტურის უძველეს ძეგლებს და თანამედროვე მწერლობას. სულ მალე ქართული ენა იმდენად შეისწავლა, რომ ქართულად თავისუფლად წერდა, ლაპარაკობდა.

იერომირ იედლიჩკა იკვლევდა ძველი და ახალი ქართული ენისა და მწერლობის საკითხებს, ჩეხურ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე წერდა მეცნიერულ სტატიებს ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. იგი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ქართველი მწერლებისა და მეცნიერების მოღვაწეობას, ბევრ მათგანთან ახლო მეგობრობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა. ი. იედლიჩკა ცხოველად ეხმაურებოდა ევროპელ ქართველოლოგთა მუშაობას და მათ ახალ ნაშრომებზე წერდა პირუთვნელ რეცენზიებს, რომლებშიც საქართველოს ისტორიის, მისი ძველი და თანამედროვე კულტურის ღრმა ცოდნას ამჟღავნებდა.

განსაკუთრებით დასაფასებელია ის დაუღალავი მუშაობა, რომელსაც იერომირ იედლიჩკა ქართული მხატვრული კულტურის ძეგლების თარგმნის დარგში ეწეოდა. მის ამ მუშაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის მიღწევების ევროპის მკითხველებისათვის გასაცნობად. ჩეხურ ენაზე გამოვიდა იედლიჩკას მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", სულხან-საბა ორბელიანის „იგავ-არაკები", დავით გურამიშვილის „ქაცია მწყემსი", ილია ჭავჭავაძის მოთხრობები და მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების გამოჩენილ მწერალთა საუკეთესო ნიმუშები, მან უთარგმნა და გამოსაცემად გაუმზადა აკადემიკოს კ. კეკელიძის „ქართული მწერლობის ისტორიის" მეორე ტომი, შეადგინა ქართველ მოღვაწეთა ენციკლოპედია და სხვა.

ქართული კულტურის ენთუზიასტი მხოლოდ კვლევითი და მთარგმნელობითი მუშაობით როდი კმაყოფილდებოდა. იგი მთელი რიგი წლების მანძილზე ქართულ და სომხურ ენებს ასწავლიდა სამხედრო აკადემიაში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, პრაღის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; მან აღზარდა ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალი მცოდნე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იედლიჩკამ შექმნა ჩეხ ქართველოლოგთა მთელი სკოლა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მასწავლებლის მიერ დაწყებულ სასახელო საქმეს.

იერომირ იედლიჩკა იყო უანგარო მოღვაწე, საქმის იშვიათი პატრიოტი, თავმდაბალი და გულითადი ადამიანი. მისი სახით ჩეხმა ხალხმა დაკარგა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ჩვენ კი — მოსიყვარულე მეგობარი.

• • •

სურათზე: იერომირ იედლიჩკა (მარჯვნივ) და მწერალი აკაკი ბელია-შვილი. [illegible]

ერთი მუჭა მიწა

ღრმად ჩაფიქრებული და გულდამძიმებული მიაბიჯებს ანტონ არნანია ქუჩაზე. მის გვერდით მდუმარედ მიდიან ჩეხი იოზეფ პორაკი, მისი მეუღლე მარია პორაკოვა და მათი ვაჟიშვილი ლადისლავი თავისი ცოლშვილით. დინჯად მიაბიჯებს ანტონ არნანია ლარივით სწორ შარაგზაზე და თვალს ავლებს ჩეხური სოფლის შემოგარენს, გუნებაში ადარებს თავის მშობლიურ დარჩელს, რომელიც აქედან ძალიან შორს, საქართველოში, ზუგდიდის რაიონშია.

მაისის ღრუბლიანი დილაა. წვიმს. მსხვილი წვეთები ლამაზად მხაპუნობს ფილაქანზე. ანტონი გასცქერის მწვანეში ჩაფლულ გზატკეცილს, წითელი კრამიტით დახურულ სახლებს და ნატრობს ალიონიდან დაწყებული წვიმის გადაღებას. მერე დაკვირვებით გახედავს იოზეფს და მის შვილიშვილებს.

შეჰყურებს ანტონი იოზეფს და თავისი პარტიზანული ცხოვრების ყველაზე მძიმე, დაუვიწყარი წუთები აგონდება. იმ ღამითაც ხომ ასე კოკისპირულად წვიმდა, ფაშისტები გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ. ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული ანტონი დღისით ამხანაგებთან ერთად, ტყეში იმალებოდა, ღამით კი განაგრძობდა გზას. გამთენიისას ერთი პატარა სახლის წინ გაჩერდა. ფანჯრიდან სინათლის მკრთალი შუქი გამოკრთოდა. სხვა გზა არ იყო, თავშესაფარი უნდა ეძებნა. ანტონი ფეხაკრეფით მივიდა და ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინა ხარ! — გაისმა მამაკაცის ხმა.

— ერთი კეთილი კაცი ვარ, ქართველი, გამიღე კარი! — სთხოვა ანტონმა მისუსტებული ხმით.

— ქართველი?! აქ საიდან მოხვედი, რა გინდა!

— მიშველეთ...

კარი გაიღო. ანტონი შევიდა. იოზეფ პორაკმა ახედ-დახედა ტანსაცმელშემოფლეთილ, ფეხებდამსკდარ, წვერმოშვებულ უცნობ კაცს და შიშმა აიტანა, ვაი თუ ფაშისტებმა მოაგზავნეს ჩემი შვილის კვალი რომ გაიგონო. დღე ერთია და ათჯერ მაინც მოდიან ფაშისტები ფრანტიშეკის შესაპყრობად.

— ლადისლავ, მოდი აქ! — გასძახა უმცროს შვილს იოზეფმა. მამის დაძახილზე შვილთან ერთად დედაც მოვიდა. იოზეფმა სთხოვა შვილს კარგად გაეგო, სანდო იყო თუ არა უცნობი კაცი. ანტონმა ლადისლავს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ბოლოს ისიც უთხრა, ფაშისტების საკონცენტრაციო ბანაკიდან, ამხანაგებთან ერთად, ოთხჯერ გავიქეცი. მაგრამ შემიპყრეს და უმოწყალოდ მცემეს. მესამედ, როგორც იქნა, მოვახერხე გაქცევა და პოლონეთიდან ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გადმოვედი.

— სხვები სად არიან? — ჩაეკითხა საუბარში იოზეფი.

— თქვენს სოფელში იმალებიან, სურთ ჩეხ პარტიზანებს შეუერთდნენ.

ანტონის სახეზე იმდენი სითბო, სიკეთე და გულწრფელობა აღბეჭდილიყო, რომ იოზეფს შეეცოდა უცნობი. ის იყო მარიასთვის უნდა ეთქვა რამე ეჭმევინათ, რომ ლადისლავმა მოულოდნელად წამოიძახა, ფაშისტები მოდიან. იოზეფი მიხვდა რას ნიშნავდა ეს. მან თვალით ანიშნა შვილს დაემალა ანტონი. ლადისლავმა ანტონი სარდაფში ჩაიყვანა და საგანგებოდ ამოთხრილ დიდ ორმოში ჩასვა. ეს ორმო რამდენიმე დღის წინათ ფრანტიშეკისათვის გაამზადა მამა-შვილმა. წინათ სხვენზე მალავდნენ ფრანტიშეკს, მაგრამ ამ ბოლო დროს იქაც აგნებდნენ ფაშისტები. ანტონი დიდხანს იჯდა ორმოში, არსაიდან ჩამიჩუმი არ ესმოდა.

ფაშისტები სახლში შემოცვივდნენ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ყველაფერი აჩხრიკეს, მიყარ-მოყარეს და წავიდნენ.

იმ ღამით ფრანტიშეკი ფარულად მოვიდა მშობლებთან. მამამ შვილს ანტონი გააცნო. ჩეხმა და ქართველმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს. ფრანტიშეკმა ანტონი პარტიზანული ჯგუფის მეთაურს წარუდგინა. მეთაურმა ზოგი რამ გამოჰკითხა ანტონს და ჯგუფში ჩარიცხა. რამდენიმე თვის შემდეგ ამ ჯგუფში ალექსანდრე [illegible]

ებში მოქმედებდა. იგი შიშის ზარს სცემდა ფაშისტებს. აფეთქებდნენ ხიდებს, სამხედრო ეშელონებს, გამბედაობითა და მამაცობით ალექსანდრე კვინჩია ყველას აოცებდა.

ერთხელ ფრანტიშეკის ძმამ ლადისლავმა ამბავი მოიტანა — ფაშისტები მამაჩემს დახვრეტით დაემუქრნენ, თუ ფრანტიშეკს არ მიუყვანთო, ალბათ მუქარას სულ მალე შეასრულებენ და დახვრეტენო. საგონებელში ჩავარდნენ ყველანი. ალექსანდრემ ვიღაც მოითმინა და მეთაურს უთხრა, მე ვიხსნი სიკვდილისაგან ფრანტიშეკის მამასო. მეთაურს გაუკვირდა და დაეჭვებით გადაიქნია თავი.

— ჩემი იმედი გქონდეთ! — უთხრა ალექსანდრემ მეთაურს და ავტომატი მოიმარჯვა. ალექსანდრეს ანტონი და ფრანტიშეკიც გაჰყვნენ. გზაში ფრანტიშეკმა ალექსანდრეს უთხრა, სულ ერთია არაფერი გამოვა, ყველა უიმედოდ დავიღუპებით და უკან დავბრუნდეთო, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო.

პარტიზანები იოზეფ პორაკის სახლის ახლოს, ერთ ძალზე მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდნენ და გერმანელების მოსვლას დაელოდნენ. ორი საათის შემდეგ ხუთი ფაშისტი გამოჩნდა. ისინი სწრაფად შევიდნენ სახლში, რამდენიმე წუთის შემდეგ იოზეფი ცემა-ტყეპით გარეთ გამოიყვანეს და გზას გაუყენეს. ალექსანდრე შორიდან უთვალთვალებდა ფაშისტებს, სულ ახლოს რომ მოვიდნენ, გერმანულად ხმამაღლა შესძახა: ხელები ზევით! თავზარდაცემული ფაშისტები დაიბნენ და ლუღლუღი დაიწყეს. ალექსანდრემ მათ იარაღი აჰყარა და ძრწოლ-ძრწოლით ტყისაკენ წაიყვანა. ერთი წამითაც არ აშორებდა იგი თვალს ფაშისტებს. თუ რომელიმე უკან მოიხედავდა, მაშინვე ავტომატს შემართავდა. ასე მიიყვანა პარტიზანებთან ტყვეები და ფრანტიშეკის მამა.

ამხანაგები ზღაპრულ ამბებს ჰყვებოდნენ ალექსზე, ტყვია არ ეკარებაო. ბოლოს მაინც უმუხთლა ბედმა მას და ფრანტიშეკს...

სოფლის სკოლის შენობაში დაბანაკებული იყვნენ სამხედრო ტყვეთა ჯგუფის მცველი ფაშისტები. პარტიზანებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ ტყვეები. ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი სოფელ ლომნიცისაკენ დაიძრა. მაისის ჩვეულებრივი დღე იყო. გრილი ქარი უბერავდა. მზე ათბობდა დედამიწას.

სკოლის შენობას რომ მიუახლოვდნენ, ხოხვით განაგრძეს გზა. ალექსანდრე პირველი შეიჭრა შენობაში, მას ფრანტიშეკ პორაკი, ანტონი და სხვა მებრძოლები მიჰყვნენ. პირველ სართულზე მყოფი ფაშისტები უბრძოლველად დანებდნენ პარტიზანებს, ფაშისტების ერთი ნაწილი კი შენობის მეორე სართულზე ჩასაფრდა. ტყვე გერმანელები ალექსანდრემ ფრანტიშეკს ჩააბარა, თვითონ კი გაქცეულებს გამოუდგა.

ფაშისტებმა ცეცხლი გახსნეს. ანტონი და ალექსანდრე ეკვეთნენ მტერს. ორი მოკლეს, ორმა კი ოთახიდან სხვენზე მოასწრო ასვლა. ალექსანდრე უკან დაედევნა, ერთი სასიკვდილოდ დაჭრა, მეორის ტყვია კი ალექსანდრეს მოხვდა. იგი იატაკზე დაეცა. ანტონი ფაშისტს გამოუდგა, დაეწია და განგმირა. მერე იარაღი აჰყარა, სხვენიდან გადმოაგდო და ალექსანდრესთან მიირბინა. გულშეწუხებულ მეგობარს შუბლიდან სისხლი სდიოდა. ანტონის ხმაზე ალექსანდრემ თვალი გაახილა, თავი მკერდზე მიაყრდნო და თავისთვის წყნარად ჩაილაპარაკა:

— დამჭრეს, მე ალბათ...

— გამაგრდი ბიჭო, — ანუგეშა ანტონმა, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილი ალექსის გულისცემა შეწყდა...

ამ ფიქრებით მიუახლოვდა ანტონ არნანია სოფელ ლომნიცის სასაფლაოს. აღარ წვიმდა. ცას ღრუბლები გადაეყარა. მზეც ტალღასავით მოვარდნილი ნამიანი ქარი ანტონს პირდაპირ სახეში სცემდა. ანტონმა სასაფლაოს გახედა. მწვანედ ხასხასებდა ბალახი, კოკორი გაეშალა ყვავილებს. ნავთით ამრიალებულ ცაცხვის ფოთლებს ნელ-ნელა სცვიოდა მძივებად ასხმული წვიმის წვეთები. საგულდაგულოდ მოვლილ საფლავებს შორის აღმართულ მარმარილოს ობელისკთან ხალხი შეგროვილიყო. საფლავზე ცოცხალი ყვავი- [illegible]

ბრძოლის საფლავზე. პატარა ჰანა ცოცხალი ყვავილების თაიგულს სდებს ალექსანდრე კვინჩიას საფლავზე. ანტონი ალექსანდრე კვინჩიას საფლავზე იხრება. იგი ორივე ხელით იწყებს საფლავის მიწის ამოთხრას, ამოთხრილ მიწას იქვე ყრის. გაოცებით სცქერის ანტონს. ირგვლივ ზღვა ხალხი შეგროვილა. ისინი შორიახლო დგანან და გაკვირვებით შესცქერიან — ნეტავ რას აკეთებს ეს კაცი, ან რას ეძებსო. მან ერთი მტკაველის სიღრმემდე ამოთხარა მიწა. ხელები გაიწმინდა, მერე გულის ჯიბიდან დედის კაბის ნაჭერში საგულდაგულოდ შეხვეული ალექსანდრე კვინჩიას ეზოს მიწა ამოიღო, გახსნა, გაფშვნიტა და დედის კაბის ნაჭერთან ერთად შიგ ჩაყარა. ანტონს თვალები აუჭრელდა. უცებ წარმოიდგინა, რომ თითქოს ალექსანდრე გაცოცხლდა, საფლავიდან წამოდგა, წამოიმართა და მეგობარს გაკვირვებული თვალები შეანათა. ცრემლმორეული ანტონი შეჰყურებს მეგობარს. ალექსანდრეს კი უკვირს, რათ მოსდგომია ანტონის თვალებს უეცრად ცრემლი. ანტონს თითქოს მეგობრის სიტყვებიც ესმის. პირველად ალექსანდრე კითხულობს, როგორ არის, ხომ არ დალია დედა შვილზე ფიქრმა და ლოდინმა, მერე ანტონს მადლობას უხდის, რომ შეუსრულა თხოვნა და სწორედ ოცი წლის შემდეგ ეწვია, თან ერთი მუჭა მშობლიური მიწაც ჩამოუტანა.

ანტონს თავბრუ დაესხა, მაგრამ თავი შეიკავა. საფლავის მიწა გაასწორა და თავი ასწია. მის გარშემო შეკრებილი ჩეხები პირისუფლებივით დაჰყურებენ ალექსანდრე კვინჩიას საფლავს. მზის სხივები ძლივს ატანს ცაცხვის მწვანე ფოთლებში. ანტონმა თვალი მოჭუტა და უცებ მის გონებაში ამოტივტივდა გმირულად დაღუპული მეგობრის დაკრძალვის დღე. თეთრადშეღებილ ფიცრებისაგან გაკეთებულ ღია კუბოში ესვენა ალექსი და თითქოს სიკვდილის შემდეგაც იღიმებოდა. სოფლის ასობით ქალი და კაცი მიაცილებდა ქართველ პარტიზანს ცხედარს. ქალიშვილებს კუბოს შესამკობად მოჰქონდათ იასამნისა და ია-სამყურას თაიგულები. თავს ხრიდნენ და მუხლს იდრეკდნენ მამაცი პარტიზანის წინაშე. საღამოს მაღალი ცაცხვის ძირას, აყვავებული იასამნის ბუჩქებში დაკრძალეს ალექსანდრე კვინჩია. საფლავში ჩაშვებისას დაიქუხეს თოფებმა. იმ დროს, როცა თოფები ქუხდა და ტყვიით დაცხრილული ფოთლები მიწაზე ცვიოდა, ასობით ჩეხმა ქალმა და კაცმა ღრმა პატივისცემის ნიშნად მარჯვენა ხელი ასწია. მათ ხელისგულებსა და თითებს მკრთალი მზის სხივები ანათებდა...

ანტონმა თავი გადაიქნია და ფიქრები გაფანტა, წამოდგა, ყველა იქ მყოფს სათითაოდ გადაეხვია. მერე მაღლა აიხედა. მზე მოწყენილი ანათებდა ღრუბლის გრძელი ზოლიდან...

გივი თევზაძე

პრაღა.

სახელმწიფო პრემიების დაწესება

სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. სახელმწიფო პრემიის მინიჭება მოხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ — სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს. პირველად პრემიები მიენიჭებათ მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, სომხეთის სსრ 45 წლისთავზე.

დაწესებულია ექვსი პრემია, თითოეული 2500 მანეთის რაოდენობით. აქედან ერთი მათგანი მიენიჭება ყოველი ჟანრის საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს, ხოლო ხუთი დანარჩენი განკუთვნილია მხატვრობის, მუსიკის, თეატრისა და კინოს [illegible]



შოთა რუსთაველი. მხატვარი გ. გრიგორიანი.

ტერმინი „ვეფხის" სწორი გაგებისათვის

პოემა „ვეფხისტყაოსანში" ფაუნის მრავალი წარმომადგენელია დასახელებული, მათ შორის მხეცნიც გვხვდება: ვეფხი, ჯიქი, ლომი, ავაზა და სხვები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პოეტს გამოყენებული ჰყავს პოემის გმირთა ეპითეტებად. ისიც ცნობილია, თუ რატომ ეწოდება მას „ვეფხისტყაოსანი". სამწუხაროდ, უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ტერმინი „ვეფხი" ჯიქში აირია და ვეფხი გაგებულ იქნა, როგორც ზოოლოგიურად სხვა სახეობის ცხოველი, სახელდობრ ჯიქი, ხოლო ჯიქის ადგილი ვეფხმა დაიჭირა.

რუსთაველის პოემის მიხედვით, ვეფხი ერთ-ერთი უმშვენიერესი, ძლიერი, მოხდენილი, ამაყი და შეუპოვარი ნადირია. პოემაში გვხვდება ვეფხისთვის (რუსულად: барс, леопард, пантера) დამახასიათებელი ეპითეტი. დავიმოწმებთ ზოგიერთ ტაეპს:

რომე ვეფხი შვენიერი
სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი,
კაბა ჩემად მომინახავს (657).

ამ ტაეპში „ვეფხი შვენიერი" გულისხმობს უთუოდ ხალებიან მხეცს, რომელიც კატისებრთა ოჯახიდან ყველაზე ლამაზია, როგორც ბეწვის შეფერილობით, ისე სხეულის აგებულებით. როგორც ამ ტაეპიდან ჩანს, ტარიელს ვეფხის ტყავის კაბა აცვია. ამ შემთხვევაში ვეფხის ტყავი ტარიელისთვის მეფური ღირსების გამომხატველია და არა უბრალო განმასხვავებელი ნიშანი პოემის გმირებისაგან, როგორც ზოგიერთი ფიქრობს.

სხვა ადგილას:

ჩოხა ტანსა ამხარი
ქვევითა ვეფხებრ მკრჩხალითა,
მას ხელთა კეტი რკინისა
ქონდა ხელითა ცალითა. (1041).

ამ ტაეპში „ვეფხებრ მკრჩხალითა" ნიშნავს ვეფხვებრ მკვირცხლს, მარდს. კატისებრთა ოჯახიდან ამ თვისებით გამოირჩევა ყველაზე მეტად ვეფხი, რომელსაც ხალებიანი ბეწვი აქვს.

ახლა რაც შეეხება ჯიქს, რომელიც პოემის მხოლოდ ერთ სტროფშია ნახსენები.

იგია ჩემი სიცოცხლე,
უწყალო ვითა ჯიქია (19).

ამ სტროფში ჯიქი ნიშნავს ზოლებიან ნადირს (რუსულად тигр, ლათინურად tigris tigris), რომელიც კატისებრთა ოჯახიდან ყველაზე ვერაგი და ცბიერია, აგრეთვე ყველაზე საშიში და მძვინვარე მხეცია. მას მჭიდრო ნათესაური კავშირი აქვს ლომთან, რომლისგანაც უმთავრესად გარეგნული ნიშნებით განსხვავდება.

უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის" პირველი ილუსტრატორის (მეფეცლობაში არა გვაქვს ძველი მინიატურები), გამოჩენილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციებში ვეფხი სწორად არის დახატული. ტარიელს ხალებიანი მხეცის ტყავი აცვია და არა ჯიქისა, რომელსაც ზოლებიანი ტყავი აქვს. სამწუხაროდ, პოემის შემდგომმა ილუსტრატორებმა, ჩვენი ლექსიკონების არასწორი განმარტების გამო, ტარიელს ჯიქის ზოლებიანი ტყავი ჩააცვეს და ვეფხიც, რომელსაც ტარიელი შეებრძოლა, ჯიქად გამოხატეს!

ტერმინი „ვეფხი" სწორად აქვთ გაგებული თეიმურაზ ბატონიშვილს, შემდგომში აკადემიკოს ნ. მარს და, ალბათ, მისი გავლენით, რუსულ ენაზე პოემის პირველ მთარგმნელს კ. ბალმონტს. მან თავის თარგმანს უწოდა „Носящий барсову шкуру", სადაც ტერმინი барс სავსებით შეესატყვისება ქართულ ვეფხს. სამწუხაროდ, სხვა რუსულ თარგმანებში ტერმინები „ვეფხი" და „ჯიქი" არეულია ან ცალმხრივ არის გაგებული.

იგივე ბალმონტი, მართალია, ვეფხს სწორად თარგმნის, სამაგიეროდ ჯიქს პანტერას უწოდებს. მისი აზრით, ვეფხი და ჯიქი ერთ მხეცს რქმევია, რადგან барс და пантера ერთი და იგივეა.

ზაბოლოცკის „ჯიქი" მართებულად აქვს თარგმნილი, მას „тигрица"-ს უწოდებს, ხოლო ცდება „ვეფხის" გაგებაში, რომელსაც „ტიგრად" ნათლავს. ჯიქი და ვეფხი მისთვის ერთი და იგივე ყოფილა!

ცაგარელიც ვერ არჩევს ჯიქსა და ვეფხს — ორივე მისთვის „ტიგრია".

პეტრენკოს თარგმანში „ჯიქის" შესატყვისია „ლეოპარდი", ხოლო „ვეფხისა" — „ტიგრი", სინამდვილეში კი პირიქით უნდა ყოფილიყო.

ნუცუბიძემ თავის თარგმანში ტერმინი „ჯიქი" სრულიად გამოტოვა, ხოლო „ვეფხი" „ტიგრად" თარგმნა, რაც აგრეთვე შეცდომაა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპულ ენებზე ძველ თარგმანებში, არტურ ლაისტის გარდა, „ვეფხი" ყველგან გაგებულია სწორად: „პანტერა", „ლეოპარდი". არტურ ლაისტის შეცდომა უნდა მომდინარეობდეს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან, რომელზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ევროპულ ენებზე შესრულებულ თითქმის ყველა ახალ თარგმანში „ვეფხი", ნუცუბიძისა და სხვათა გავლენით, „ტიგრად" ითარგმნა, „ტიგრადვე" გადასწორდა სიტყვა „ბარსი" ბალმონტის რუსული თარგმანის 1934 წლის თბილისურ ხელახალ გამოცემაში (აგრეთვე მის ყველა საბჭოურ გამოცემაში).

რამ შეუწყო ხელი ტერმინ „ვეფხის" ასე ცალმხრივ გაგებას?

არეულობა იწყება ჯერ კიდევ დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან, რომლის რუსულ-ქართულ ნაწილში ვკითხულობთ: леопард — ჯიქი, ვეფხის მსგავსი ცხოველი; ბაბრი.

Тигр — ვეფხვი, ვიგრი.

ქართულ-რუსულ ნაწილში კი წერია:

ვეფხვი — рысь, тигр, барс.

ჯიქი — леопард, бабр. თითქმის ასევეა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც.

როგორც ვხედავთ, აქ ვეფხი ყველაფერია: ფოცხვერიც, ჯიქიც, ვიგრიც, და, ბოლოს, „ბარსიც". ეს უკანასკნელი სწორია, მაგრამ სამი მხეცის ერთ ნადირად გამოცხადება ერთობ კურიოზულია.

თავი რომ დავანებოთ ძველად არსებულ ნაშრომებს, ახალ ქართულ ლექსიკონებში ასეთი აღრევა უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია, მაგალითად: უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: тигр — ვეფხი, леопард — ავაზა. აკადემიის რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვითაც „ტიგრ" „ვეფხია", ხოლო „ბარს" — ჯიქი.

აკადემიის სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაც (1959 წ.) „ტიგრს" ვეფხვად თარგმნის, „ლეოპარდს" კი — ჯიქად, ამავე დროს ამ ჯიქს გვერდზე მიწერილი აქვს „პანტერა", „ბარს" (!)

ი. ჩხიკვიშვილის „საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურაში" ჯიქი „ბარსად" არის თარგმნილი, ვეფხი კი — „ტიგრად". ვეფხი, როგორც საქართველოს ფაუნის დამახასიათებელი, სამართლიანად მოხვედრილა ამ წიგნში, ხოლო ჯიქი ანუ თურანული ვიგრი საქართველოს ფაუნისათვის უცხოა და ამდენად ჩვენი ქვეყნის ხერხემლიანთა ნომენკლატურაში არ უნდა შეტანილიყო.

ლექსიკონებში არსებული ასეთი არევდარევა სავსებით ბუნებრივად ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონშიც" აისახა, სადაც სამი სულ სხვადასხვა ნადირი — ვეფხი, ავაზა და ჯიქი სინონიმებად არის გამოცხადებული.

როგორია საკითხის ისტორია და რამ შეუწყო ხელი ამ ორი ტერმინის — ვეფხისა და ჯიქის ერთმანეთში არევას?

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, პირველი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში" საგრძნობ ადგილს უთმობს „ცხოველთა სამყაროსაც". მტაცებელი მხეცებისაგან მას დასახელებული ჰყავს ვეფხვი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი და ავაზა. აღნიშნულ ცხოველთა სახელები, რომლებიც დადასტურებულია უძველეს წერილობით წყაროებში, თანამედროვე ქართულშიც იმავე მნიშვნელობით იხმარება. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ვეფხვის შესახებ, რომელსაც დღეს სრულიად უსაფუძვლოდ ჯიქის მნიშვნელობას აძლევენ.

დიდ ქართველ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს თავის ქართულ ლექსიკონში შეტანილი ჰყავს ვეფხვი და მისი მსგავსი ჯიქი. აი როგორ განმარტავს იგი ჯიქს: „ვეფხვსა ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ". როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ჯიქი ვეფხვზე დიდია. ამასთან სპარსულად მისი სახელწოდება ბაბრი ყოფილა. მართლაც, სპარსულად „ბაბრ" სწორედ ჯიქს („ტიგრს") ნიშნავს (იხ. ფარხადიანის სპარსულ-რუსული ლექსიკონი). ჯიქი საქართველოს ფაუნას არ ეკუთვნის, გვხვდება სამხრეთ აზერბაიჯანში (ლენქორანში) და მის მოსაზღვრე ირანში. ჩვენი ვარაუდით, ტერმინ „ჯიქის" რუსული შესატყვისი უნდა იყოს „туранский тигр", ე. ი. იგი ქვესახეობაა. სახეობის სახელწოდება იქნება „ვიგრი". ვიგრის სხეულის საერთო სიგრძე სამ მეტრს აღწევს, ხოლო წონა — 350 კილოგრამს. აქვს ზოლებიანი ტყავი. ვიგრი გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში. ბინადრობს ტყეში. საბჭოთა კავშირში ვიგრის სამი ქვესახეობა მოიპოვება: თურანის ჯიქი, კორეის ვიგრი და გრძელბალნიანი ანუ ამურის ვიგრი. მისი სომხური შესატყვისია „ვაგრ". რუსული „ტიგრის", ქართული „ვიგრის" (ხევსურული „მიგრი") და სომხური „ვაგრის" წყაროს ბერძნული „ტიგრის" წარმოადგენს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეოთხე ტომში არასწორად არის ახსნილი ტერმინები „ვეფხვი" და „ვიგრი", აქ ვკითხულობთ: „ვეფხვი დიდი მტაცებელი ცხოველი (კატების ოჯახისა, აქვს ჭრელი, ზოლებიანი (ან ხალებიანი) ტყავი". აქ ორი სხვადასხვა სახეობის ცხოველს მიკუთვნებული აქვს ერთი სახელწოდება, რასაც შეუძლია მხოლოდ გაუგებრობა შეიტანოს ენაში. ზოლებიანი ტყავი აქვს ვიგრს (რუს. тигр, ლათ. tigris tigris), ხოლო ხალებიანი ტყავი — ვეფხვს (რუს. леопард, пантера, барс, ლათ Leonardus pardus). ტერმინ „ვეფხის" განმარტებისას მოყვანილი საილუსტრაციო გამოთქმები ეხება მხოლოდ ხალებიან ნადირს და არა ზოლებიანს. სიტყვები „ვეფხვისტყაოსანი" და „ვეფხვურის" განმარტებისას საილუსტრაციო გამოთქმები მხოლოდ ხალებიან ნადირს გულისხმობს.

მაგალითად: „ვეფხვური ნახტომი". ცნობილია, რომ ვიგრთან შედარებით ვეფხვის ნახტომი მეტად გრძელია. იგი 10-12 მეტრს აღემატება. ვეფხვს შეუძლია ვერტიკალურადაც 10-11 მეტრის სიმაღლეზე შეხტეს. ვიგრის ნახტომი სიგრძეზე ხუთ მეტრს არ აღემატება, ხოლო სიმაღლეზე — ორს. ახლა ვნახოთ, როგორ არის განმარტებით ლექსიკონში ახსნილი ტერმინი „ვიგრი". აქ ვკითხულობთ: „ვიგრი — იგ. ნიამვი (საბა)". მაგრამ საბას ასე არა აქვს განმარტებული. იგი წერს: „ვიგრი — ქართლის ცხოვრებაში სწერია: „ვახტანგს აქუნდა ფარი ვიგრისაი". წმინდა ბასილი სწერს: „ლომი, ვიგრი და ვეფხვი". ან ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უწოდებენ და ხმელთა ცხოველიც არს. მისი ტყავი [illegible]".

როგორც ვხედავთ, განმარტებით ლექსიკონში ტერმინ „ვიგრის" ახსნისას უგულებელყოფილია მისი თავდაპირველი და ძირითადი მნიშვნელობა. იმის დასამტკიცებლად, რომ ვიგრი ხმელეთის მტაცებელთა ჯგუფის ხორცის მჭამელი ცხოველია და არა ნიამვი, შეგვიძლია მოვიყვანოთ მეოთხე საუკუნის ბიზანტიელი მწერლის ბასილი დიდის ერთ-ერთი ნაწარმოები „ექვსთა დღეთაი", რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში ბერძნულიდან თარგმნა გიორგი მთაწმინდელმა. აღნიშნულ ნაწარმოებში ვკითხულობთ: „მოკლე არს და შთასუმულ მხართა შინა ყელი დათვისაი და ლომისა, და ვიგრისა, და ვეფხისა, და ავაზისაი და ყოველთავე მსგავსთა მათთაი, რამე თუ არა თვისთაგან არს საზრდელი მათი; არცა იძულებიან ქუეყნად მიმართ დადრეკად რამე თუ არიან იგინი ხორცის მჭამელ და ნადირობასა ცხოველთასა კმა იყოფენ" (მ. ჯანაშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. მე-11, 1947 წ.). როგორც ვხედავთ, ტერმინ „ვიგრს" არავითარი კავშირი არა აქვს „ნიამვთან".

დალი ტერმინ тигр-ის განმარტებისას წერს: „Тигр — лютый зверь, Tigris tigris, бабр". რუსული ტერმინის тигр-ის შესატყვისია ჯიქი. იგი ნამდვილად უწყალო მხეცია („უწყალო ვითა ჯიქია"). და მართლაც, ჯიქი ეშმაკობისა და ვერაგობის განსახიერებაა და ყველაზე საშინელი, სისხლისმსმელი მტაცებელია, რომლის წინაშე ადამიანი ხშირად უკან იხევს.

ქართული „ვეფხის" რუსული შესატყვისი რომ „ბარსია" ამას ყველაზე უკეთ ადასტურებს ბიბლიის ქართული თარგმანი, სადაც ერთგან („დანიელ, 7, 6") ნახსენებია „ვეფხი". ბიბლიის რუსულ თარგმანში სათანადო ადგილას გვაქვს „ბარს", ასევეა ბერძნულსა და სომხურშიც.

ცნობილ ქართველ მწერალს რ. ერისთავს თავის მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონში სწორად აქვს გაგებული ტერმინები „ვეფხი" და „ჯიქი". აქ ვკითხულობთ: „ვეფხვი, ვეფხი — барс; ჯიქი, ბაბრი — тигр".

ხევსურული ხალხური პოეზიის მონადირეობის ლექსებში ცნობილია „ვეფხისა და მოყმის" ბალადა, რომელიც გამოყენებული აქვს დიდ რუს პოეტს ლერმონტოვს პოემა „მწირში". ამ ლექსში აღწერილია მოყმის გმირული ბრძოლა ვეფხვთან. პოემაში ვეფხის შესატყვისად მოცემულია ტერმინი „ბარს".

ეს ლექსი და სხვა მრავალი ლიტერატურული მონაცემი ამ საკითხზე მოწმობს, რომ ვეფხვი (ე. ი. ლეოპარდი) საქართველოს ველური ფაუნის ცხოველია და არა უცხო ქვეყნისა, როგორც უსაფუძვლოდ მიაჩნია ზოგიერთ ზოოლოგს.

ცნობილია, რომ 1922 წლის 5 დეკემბერს სოფელ ლელიანის მახლობლად, საკონდრიოს ხევში, თბილისის ჩრდილო-დასავლეთით 22 კილომეტრის მანძილზე, ლელიანის მკვიდრებმა გლეხებმა მოკლეს ჯიქი ანუ თურანის ვიგრი, რომელიც ვიგრის ქვესახეობას წარმოადგენს. სოფელ ლელიანთან მოკლული ჯიქი ცნობილმა ზოოლოგმა ი. ჩხიკვიშვილმა სრულიად უსაფუძვლოდ ვეფხვად მიიჩნია, რის შესახებაც გამოაქვეყნა ცნობა (ი. ჩხიკვიშვილი, ლელიანის მახლობლად მოკლული ვეფხვი. საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1923-25 წწ. გვ. 12 და შემდეგ).

ი. ჩხიკვიშვილმა დაადგინა, რომ ლელიანთან მოკლული მხეცი შემოსული იყო სამხრეთ აზერბაიჯანიდან (ლენქორანიდან). ჯიქის ეს შემოსვლა პირველ შემთხვევად მიიჩნევა ზოოლოგიაში, არსებული წერილობითი წყაროები კი მოწმობენ იმას, რომ საქართველოში ჯიქი წინათაც შემოსულა. მე-19 საუკუნის დამდეგს დავით რექტორმა (ალექსი-მესხიშვილმა) გადაწერა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. ხელნაწერის აშიაზე სათანადო ადგილას ანბანის მიხედვით მიწერილია სიტყვა „ტიგრი". ამ მინაწერიდან ირკვევა, რომ ვიგრი, ან როგორც დავით რექტორი წერს, „ტიგრი", მოუკლავთ კახეთის სამეფოში — ძარში და მისი ზოლებიანი ტყავი საქართველოს მეფე ერეკლე მეორისათვის ძღვნად მიურთმევიათ. მინაწერში მოყვანილია ვიგრის მოკვლის მეორე შემთხვევაც თვით კახეთის სამეფოში, სოფელ ახმეტაში. როგორც ვხედავთ, სოფელ ლელიანთან ჯიქის მოკვლა მესამე შემთხვევა ყოფილა. ამრიგად, ლიტერატურაში დამოწმებულია ვიგრის მოკვლის სამი შემთხვევა საქართველოს ტერიტორიაზე. მოკლული ვიგრი დავით რექტორს თავისი თვალით უნახავს. მინაწერში იგი აღნიშნავს, რომ „ამგვარი მხეცი საქართველოში არსად გაგონილა... ამის უკვე ტიგრის სახელი ვერა ვპოვე ქართულად: ტიგრი არა არის ქართული ენა, სხვა ენა არის". აქედან ჩანს, რომ დავით რექტორი ცუდად როდი იცნობდა საქართველოს ფაუნას. მან კარგად მოუხსენებოდა, რომ მოკლული მხეცი, რომლის სახელი მხოლოდ რუსულ ენაში გამოძებნა, საქართველოს ფაუნის წარმომადგენელი არ იყო. მან იცოდა, რომ „ტიგრი" ვეფხვი არ არის. ოღონდ რუსული „ტიგრისათვის" ქართული შესატყვისის პოვნა ვერ შეძლო.

იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში", იქ, სადაც საქართველოს ფაუნას ეხება, წერს: „გარეულნი ცხოველნი არიან: ვეფხვი, ოდესმე ტიგრიცა, და აფთარი, მგელი, დათვი, მელა, ტურა, კვერნა და კატუნი, ფოცხვერი, გარეული ღორი დიდროვანნი, ირემი, ქურციკი გინა ჯერანი, ჯიხვი, გარეული თხა, ნიამორი ანუ ფსიტი, ზღვი, არჩვი, კურდღელი, მაჩვი, სხვადასხვა გვარინი ძაღლები და კატები არიან მრავლობით".

როგორც ვხედავთ, იოანე ბატონიშვილი საქართველოში გავრცელებულ ნადირთა შორის ასახელებს ვეფხვს, ხოლო „ტიგრი" („ტიგრიცა"), მისი აზრით, ოდესღაც ბინადრობდა საქართველოში და ამჟამად არა გვხვდება. საქართველოში ვეფხვი ახლაც მოიპოვება კავკასიონის მთავარ ქედზე. ვეფხვის მოკვლის შემთხვევა წარსულშიც მრავალი იყო. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ლიტერატურაში დადასტურებულია ვეფხვის მოკვლის ორი ფაქტი. ვეფხვის ერთი ეგზემპლარი 1950 წელს მოკლეს ჯავის რაიონში, ხოლო მცხეთასთან ახლოს — ზედაზნის ტყეში 1954 წელს გაანადგურეს საკმაოდ დიდი ზომის ვეფხვი. გვაქვს ცნობა, რომ 1965 წელს ვეფხვი მოუკლავთ აგრეთვე მეზობელ სომხეთში, ეჩმიაძინის რაიონში („პრავდა", 1965 წ., № 16981).

„მოყმისა და ვეფხვის" ლექსში აღწერილია ხევსურის ბრძოლა იმ მხეცთან, რომელიც ცხოვრობს ხევსურეთის კლდიან ადგილებში და არა იმასთან, რომელიც მხოლოდ შემთხვევით შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე. ვეფხვი უპირატესად ტყით დაფარულ მთაში ბინადრობს 3.500 მეტრამდე სიმაღლეზე. იშვიათად გვხვდება მთისწინეთის ტყეში. ბუნაგს იკეთებს ხშირ ბუჩქნარში, გამოქვაბულსა და კლდის ნაპრალში. კარგად ადის ციცაბო კლდესა და ხეზე. ვეფხვიც ხევსურეთის ველური ფაუნის წარმომადგენელია.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ვიგრის (ჯიქის) და ვეფხვის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც ცნობილია ზოოლოგიურ ლიტერატურაში. ვიგრი (ჯიქი) ძალზე გამბედავი ცხოველი არ არის. იგი არა მარტო მორცხვი და გაუბედავია, არამედ მშიშარაც გახლავთ, თუმცა არაჩვეულებრივად ვერაგი და ცბიერია, ამასთან ყველაზე საშიში და მძვინვარე მხეცია. ვიგრი (ჯიქი) პირველად ადამიანის დანახვაზე მოკურცხლავს ხოლმე. მაგრამ როცა დარწმუნდება, რომ ადამიანი წარმოადგენს არსებას, ვისაც ადვილად შეიძლება გაუსწორდეს იგი, ფრიად საშიში ხდება, მოულოდნელად თავს ესხმის შეუიარაღებელ ადამიანს. ვიგრი (ჯიქი) ხეზე ვერ ადის, რითაც ადამიანი სარგებლობს მისი თავდასხმის დროს (ხეზე მარტო ახალგაზრდა ჯიქი ადის). ვიგრის ზოგიერთი ადვილი მოსათვინიერებელია, თვით მისი გაწვრთნაც. ვიგრის (ჯიქის) ტყავი სქელია, გამოიყენება მხოლოდ ხალიჩისა და ფიტულის გასაკეთებლად.

ვეფხვი თავისი მცირე ზომის მიუხედავად (სხეულის სიგრძე 107-180 სმ, კუდისა — 75-110 სმ, წონა — 32-40, ხოლო ზოგჯერ 100 კილოგრამამდე), ყველა შინაური ცხოველისა და ადამიანის საშიში მტერია, თუმცა უკანასკნელს გაურბის. ვეფხვს შეუძლია ხელი იგდოს ძალზე სწრაფი და მარდი ნადირი. მოხერხებულად იმალება ბუჩქში, კარგად ადის ხეზე, თუ გაუჭირდა, დიდ მდინარესაც გადაცურავს, თუმცა წყლისადმი შიშსა გრძნობს, რითაც ბიოლოგიურად განსხვავდება ვიგრისაგან (ჯიქისაგან). მისი სიმარდე და სიცქვიტე განსაცვიფრებელია („სიფიცხე ვეფხისაგანცა უფიცხესი" — ვისრამიანი). ვეფხვს სხეული ელასტიკურია და ენაცვლება ყველა მიმართულებით; თათებს ისე მსუბუქად აბიჯებს, თითქოს არაფერს ეყრდნობაო. ყოველი მისი მოძრაობა ნარნარი და მოხდენილია. ვეფხვი კატისებრთა ოჯახიდან (რომელსაც ვიგრიც ეკუთვნის) ყველაზე ლამაზია. მას თავისი აგებულების ღირსი შეფერილობაც აქვს, ისევე სწრაფია, როგორც ძლიერია თავის მოძრაობაში. ვეფხვი წარმოადგენს მტაცებლის ყველაზე დასრულებულ ტიპს. ვეფხვზე ნადირობა უფრო საშიში და ძნელია, ვიდრე ვიგრზე (ჯიქზე). ყველა არსებული ცნობა მოწმობს იმას, რომ ვეფხვი ზოგჯერ უფრო გამბედავი, ხერხიანი და მარდი მოწინააღმდეგეა, ვიდრე ვიგრი (ჯიქი) და არც ისე ადვილია მონადირისათვის გამარჯვების მიღწევა. ვეფხვი ზოგჯერ გაბედულად თავს ესხმის სპილოს, გარეულსა და მდევნელს. თავის მოკლულს იცავს იმ პირობებშიც კი, როდესაც ვიგრმა (ჯიქმა) შეიძლება დატოვოს. ძნელია ვეფხვის გაწვრთნაც. როგორც ცნობილია, რომაელები ვეფხვს ხშირად ცირკში იყენებდნენ საბრძოლველად. პომპეუსმა ცირკს აზიიდან გაუგზავნა 410 ვეფხვი, ავგუსტუსმა — 420, ხოლო სკავრმა — 150. მსგავს სანახაობას მცირე მასშტაბით კიდევ აწყობდნენ მე-19 საუკუნის დამლევამდე სამხრეთ აზიაში ადგილობრივი მბრძანებლები.

ვეფხვის ჭრელი (ხალებიანი) ტყავი ძვირად ფასობს. ევროპაში წინათ ვეფხვის ტყავისაგან ხალიჩასა და ზილფუშს (თოქალთის) აკეთებდნენ. („ტანზე ეცვა თოქალთად ვეფხვის ტყავი" — ნ. ლორთქიფანიძე). ამჟამად მისგან, ნოხისა და ფიტულის გარდა, კერავენ ქალის მანტოს. ვიგრის (ჯიქის) და ვეფხვის ტყავის შედარება გვიჩვენებს, რომ პირველის ტყავი სქელი და უხეშია. ძველ დროში ვიგრის (ჯიქის) ტყავი, როგორც საკმაოდ მაგარი, ფარის გადასაკრავად გამოიყენებოდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ზანგები ვეფხვის ტყავს იყენებენ, როგორც გამარჯვების ნიშანს. ვეფხვის ტყავი მეფური ღირსების მაჩვენებლად ითვლებოდა და ქვეშევრდომებს აკრძალული ჰქონდათ მისი ტარება.

ასეთია ვიგრის (ჯიქის) და ვეფხვის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება ბრემისა და სხვა ზოოლოგთა მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ვეფხვი სილამაზის, სიძლიერის, სიამაყისა და შეუპოვრობის განსახიერებაა. სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ვეფხს ძველთაგანვე ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

ამრიგად, ჩვენი წერილის დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს:

1. ველური ფაუნის ორი წარმომადგენელი: ვიგრი (ჯიქი) და ვეფხვი მართალია, კატისებრთა ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ ბიოლოგიურად სხვადასხვა ცხოველს წარმოადგენს, რომლებისთვისაც ერთი სახელის მიკუთვნება ყოვლად გაუმართლებელია.
2. ვეფხვი საქართველოს ფაუნის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რაც დამოწმებულია ყველა არსებული წერილობითი წყაროთი.
3. ქართული ტერმინი „ვეფხვის" რუსული შესატყვისია леопард, пантера, барс (და არა тигр). რაც შეეხება ქართულ ჯიქს (ვიგრს), მას რუსულში მხოლოდ და მხოლოდ тигр უდრის.
4. რუსთაველს ტლანქი, უშველებელი და მხეცი — „უწყალო ჯიქი" მიჯნურის სახედ, ტრფიალების სიმბოლოდ შეუძლებელია დაესახა, სამისოდ მას სწორედ „ვეფხი შვენიერი" მიაჩნია, თანაც უმატებს: „ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს"-ო. ჯიქის ტყავი, უხეში და მოუხდენელი, ტანზე არასოდეს ჩაუცვამთ, მას ახლაც მხოლოდ იატაკზე დასაფენად თუ ხმარობენ.

მიხეილ მამულაშვილი,
ალექსანდრე ქუთათელაძე

„ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემის პროგრამა

„ვეფხისტყაოსანი" პირველად გამოიცა 1712 წელს ვახტანგ VI ხელმძღვანელობითა და რედაქციით. ამიტომ მას ვახტანგისეული გამოცემა ეწოდებოდა.

მეორედ პოემა პეტერბურგში გამოქვეყნდა 1841 წელს აკად. მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ. პოემის ტექსტის გამოსაცემად მომზადებელ კომისიას მეთაურობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, მეფე გიორგი მეცამეტის ძე თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846), მაგრამ წიგნის რედაქტორი იყო აკად. მ. ბროსე და ამიტომ მას ბროსეს გამოცემას უწოდებენ.

„ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემის კომისიის მუშაობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. დიდხანს ისიც კი საეჭვო იყო, ეს გამოცემა რომელიმე ძველი ხელნაწერის პირია თუ ტექსტის კრიტიკული დადგენის ცდის შედეგთან გვქონდა საქმე. ახლა უკვე მეორე თვალსაზრისია უფრო გაზიარებული, რაც ა. შანიძის დამსახურებაა.

არასაკმაო ცნობები გვქონდა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" მეორე — 1841 წლის გამოცემის პრინციპთა შესახებაც. ამ მხრივ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ის საბუთი „პროღრამა", ანუ „პროგრამა", რომელიც ამ გამოცემისათვის შეუდგენიათ. მისი არსებობის შესახებ ზოგადი ცნობა ჩვენს ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (თბილისი, 1959 წ., გვ. 248-249) გამოქვეყნდა და იქვეა შენიშნული, რომ პროგრამის ერთი ცალი ლენინგრადის სათანადო არქივის მ. ბროსეს ფონდში ინახება.

ეს პროგრამა თბილისშიც აღმოჩნდა. პროფ. ვ. დ. დონდუასთან ოჯახში ვესაუბრებოდით. მასპინძელმა თაროდან გადმოიღო „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემის მესანიშნავ ყდაში ჩასმული ეგზემპლარი. მას კონტრტიტულზე თეიმურაზ ბაგრატიონის ხელით აწერია:

„ეს ვეფხისტყაოსანი მეფის ძის თეიმურაზის სახსოვრად უნდა ჰქონდეს ბრწყინვალე თავადს ბეჟანის ძეს ლეონ ანჩაბაძეს. არც დაკარგოს და კარგად უნდა დაიცვას. ლ(ეონ)ს მემკვიდრეობაში ამხაროს. მეფის ძე თეიმურაზ. პეტეროვსბ. ქ(რონი)კ(ონ)ს ფლზ 18.7.11.44".

ეს წარწერა თავისთავად არის საყურადღებო. იგი გვაუწყებს, თუ როგორ ცდილობდა თეიმურაზი შოთას პოემის პოპულარიზაციას, როგორ ავალებდა ახალგაზრდებს, შეესწავლათ ჩვენი კულტურა.

წიგნში აღმოჩნდა ზემოხსენებული „პროგრამა", რომელიც გაყვილ ფურცელზეა დაბეჭდილი ქართული და რუსული იდენტური შინაარსის ტექსტით. მასპინძელმა „პროგრამა" გამოქვეყნების უფლებით გვათხოვა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

„პროგრამის" რუსული ტექსტი (რამდენიმე მოკლე შენიშვნით) უკვე გამოვაქვეყნეთ („ლიტერატურნაია გრუზია", 1964 წ. № 12), მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ვფიქრობთ უფრო საინტერესო სწორედ ქართული ტექსტია.

„პროგრამაში", უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ცნობა, რომ ამ მეორე გამოცემის საფუძვლად პირველი — 1712 წლის გამოცემა უდევს „მცირედ განმართული" და შემოწმებული ქართველ სწავლულთა მიერ ძველ ხელნაწერთა მიხედვით, რომელთა პოვნას შეეცდება „საქართველოსა ანუ რუსეთის შინა" და „მით მიუახლებთ ნამდვილსა", ე. ი. რუსთაველისეულ დედანს. ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარებით, 1841 წ. გამოქვეყნებული „ვეფხისტყაოსანი" 48 სტროფით მეტს შეიცავს და გასწორებულია პირველი გამოცემის ბევრი სასტამბო (კორექტურული) ცდომილება.

საყურადღებოა პროგრამის ცნობა, რომ პირველი გამოცემის უმთავრესი ნაწილი განადგურდა 1795 წელს ხოჯა აღამაჰმად ხანის ურდოების მიერ თბილისის დარბევისა და გადაწვის დროს.

„პროგრამიდანვე" „ვეფხისტყაოსნის" დიდი პოპულარობის მაუწყებელი ცნობა: ყოველ ოჯახს ჰსურს ჰქონდეს წიგნი, „ტარიელისა, რომელსა იგონებენ ნიადაგ", ზეპირად სწავლობენ და მის ბრძნულ აზრებს (აფორიზმებს) ხშირად საუბარშიც იყენებენ.

ძალიან ძვირი ყოფილა მაშინ „ვეფხისტყაოსანი": „ვახტანგისეული გამოცემა გინდ ხელნაწერი თურმე 15—20 ვერცხლის მანეთს ფასობდა, და ამიტომაც გვინდა გამოვაქვეყნოთ იგი, იუწყებიან 1841 წ. გამომცემლები.

„პროგრამა" 1840 წელს უნდა იყოს შედგენილი თეიმურაზ ბაგრატიონის უშუალო მონაწილეობით. მისი მნიშვნელობის სხვა მხარეებზე აქ აღარაფერს ვამბობთ. იგი დაბეჭდილია იმ მოცულობის ფურცელზე და იმავე შრიფტით, რა შრიფტითაც „ვეფხისტყაოსანი".

აღნიშნულ პროგრამის ქართულ ტექსტს აქვე უცვლელად ვათავსებთ.

იოსებ მეგრელიძე

პროღრამა:

ვეფხვის ტყაოსანი, ცნობილი თხზულება ქართულსა ენასა ზედა, დაწერილი დროს სახელგანთქმულის თამარ მეფისა, მხოლოდ ერთხელ აღბეჭდილი იყო ტფილისს, ჩღიბ წელსა, მეფისა მიერ ვახტანგისა VI: გამოცემა ესე სრულებით განიყიდა. ამისავე მრავალნი წიგნნი დაიკარგნენ ჟამსა ტფილისის აღებისა და დაწვისა, ჩღჟე წელსა, ხოჯა აღამაჰმად ხანისაგან. ამისთვს აწ ვბეჭდავთ ჩვენ, რომელ ხელწერილი ანუ აღბეჭდილი ვახტანგის მიერ წიგნი იყიდების მოყვარეთაგან ლიტერატურისა თხუთმეტ ანუ ოც მინალთუნად თეთრ ფულად. მისთვის რამეთუ საქართველოსა შინა ყოველთა მსურთ ქონება თვსისა ტარიელისა, რომელსა იგონებენ ნიადაგ, სწავლობენ ზეპირად და წარმოთქვენ მისგან შაირთა ოდეს უნდათ მოხსენება რომლისამე კეთილშობილურის გრძნობისა, მაღლის მაზრისა ანუ სახელოვანის მოქმედებისა:

მიზეზნი ესე აღგვიძრვენ ჩვენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ ვეფხვის ტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი, გარნა მცირედ განმართული, განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა ხელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ პოვნასა საქართველოსა ანუ რუსეთს შინა, და მით მივახლოვებთ ნამდვილსა:

უფ. ბროსსე, ვითა ზედამხედველი აღბეჭდვისა, მოუმატებს ქართულად წინასიტყვაობას, სადაც წარმოადგენს სალიტერატურო უწყებასა წიგნისა ამისა და არჩევნებს ღირსებასა მისსა: დიდიხნის განხილვა რუსთაველის შრომისა შემძლებელ ჰყოფს მას დართვად რომელთამე შენიშვნებთა:

წიგნი გამოვა გაზაფხულს ჩყმა წელსა. ადრე მომწერთათვს ედირება ორ მინალთუნად თეთრ ფულად, ხოლო შემდგომად აღბეჭდვისა განიყიდება ორ მინალთუნად და ოთხმოცდაშვიდ კაპეიკად თეთრ ფულადვე:

წიგნი ესე აღიბეჭდების ამავე ასოებითა და იქმნება ამავე ტანისა, როგორც ეს პროღრამაა:

რას ნიშნავს „ვეფხისტყაოსნის" „ერთ-სახე?"

„ვეფხისტყაოსანში" ორ ადგილას გვხვდება სიტყვა **ერთ-სახე**:

ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ **ერთ-სახესა**. 231,4.
ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან **ერთ-სახე, წა...** 659,3.

231-ე სტროფში ნახმარი **ერთ-სახე**, მ. ჯანაშვილის აზრით, ნიშნავს ერთნაირს, ერთგვარს (გაზ. „ტრიბუნა", 1923, 31 მაისი), ხოლო ვ. ბერიძის განმარტებით, „ზახილი ერთი სახე ეს გახლავთ გაბმული, გაჭიანურებული, ერთი სახის, ერთი ტონის ხმა" („რუსთველოლოგიური ეტიუდები", გვ. 34).

თ. ბაგრატიონის აზრით, „ზახილსა მუნ ერთსახესა — თვით ეხოს განმარტება ერთსახეობას ნიშნავს, ამისთვის რასაც შესძახებ კლდესა, თუ ადგილთა ეხოსა გამომცემთა, მასვე უცვალებლად ხმასცემსვე (განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა", გვ. 36). 659-ე სტროფში ნახმარ **ერთ-სახეს** შესახებ თეიმურაზი წერს: „ერთსახედ ამისთვის იტყვის, რომელ ავთანდილსცა მიჯნურივე იყო და ტარიელისა თანავე თანაზიარად მისსა მწუხარებდა" (გვ. 78).

თვით „ვეფხისტყაოსანშივე" ზახილს უკავშირდება სიტყვები: მოსაწყინარი (559,1), ტირილი (248,3; 1591,1), ზღვამდის ამღუღლი ყვირილი (655,1), გერთა ქუხილი (1021,3), ცრემლთა მდენანი (944,1), თავს, ცემა (1622,4). ერთსახე ზახილი ამ შემთხვევაში არც ერთ აქ მოყვანილ სიტყვას არ უდრის. ერთსახე თვისებაა ზახილისა, რომლის ეხოს კლდენი გამოსცემენ.

იქნებ 659-ე სტროფში ნახმარმა **ერთ-სახემ** გაგვარკვიოს მისი მნიშვნელობა? **ერთ-სახეს** აქ უკავშირდება სიტყვა ცრემლი. ხომ არ გვხვდება თვით „ვეფხისტყაოსანშივე" ცრემლთან დაკავშირებით ისეთი სიტყვები, რომლებიც **ერთ-სახეს** სინონიმებია?

თინათინი ეუბნება ავთანდილს:

ვიცი, რომე **გაუწყვეტლად** თვალთით ცრემლი გისეტყვის... 129,3.

ავთანდილი ვაზირთან საუბარში ამჟღავნებს თავის განწყობილებას:

აწ ვითამცა უცნობოსა **გაუწყვეტლად** ცრემლნი მდიან 748,2.

ფატმანი აცნობს ავთანდილს ნესტანის ყოფას:

ვით გიამბო საცოდავი მე, გლახ,
მისი ყოფა-ქცევა.
დღე და ღამე **გაუწყვეტლად** ტირილი და ცრემლთა ფრქვევა! 1145,1-2.

მოყვანილ მაგალითებში ცრემლის სეტყვას, დენასა და ფრქვევას თვისებრივად განსაზღვრავს ვითარებითში დასმული ზმნიზედა „**გაუწყვეტლად**". 659-ე სტროფში ნახმარი **ერთ-სახეს** სინონიმი [illegible] **გაუწყვეტლად**. [illegible] ცრემლის სეტყვასა, დენასა და ფრქვევასთან.

რუსთაველამდელ სალიტერატურო ძეგლებში ერთ-სახეს უდრის ერთნაირი, ხოლო მისი სინონიმებია: ერთტომითა (ერთგვაროვანი), შეუცვალებელი (უცვლელი, მუდმივი), შეერთებული (მთლიანი, განუყოფელი).

მაგალითად:

„შობათა შინა არა წინააღმდგომთაგან, არამედ **ერთ-სახეთა და ერთ-ტომითა** თვითეული ღაბაღებითგანი წარმოიჩინების" („ექვსთა დღეთა", მ. ჯანაშვილის გამოც. 20,8).

„და რომელთამე ქმნა **ერთ-სახე** არს და შეუცვალებელ" (ექ. დღ. 94, 32).

„ვინაჲცა არა უჯერო არს წელიწადთა სახეთაგან ყოველთა მიზეზისა მიმართ აღმავალთათვს ზემთასოფლისათა თუალითა განცდაჲ ყოვლისავე ყოველთა მიზეზსა შორის, ვითარ ურთიერთას წინააღმდეგობანი **ერთ-სახე და შეერთებულ არიან**" (პ. იბერ. შრ. 62, 35).

„ველტოდე ცუდად-ზრახვისაგან ამპარტავანთა მათ ფილოსოფოსთაჲსა, რომელთაჲ-იგი არ ჰრცხვენის **ერთ-სახე ყოფად** სულთა მათთა და სულთა ძაღლთაჲსა" (ექ. დღ. 92, 19).

ჩვენი აზრით, რუსთაველის ორივე ადგილას ნახმარ **ერთ-სახეს** ეთანადება პეტრე იბერიელის **შეერთებული**, რაც მთლიანს, განუყოფელს, განუწყვეტელს უნდა უდრიდეს. მ. ჯანაშვილის მოსაზრება, რომ **ერთ-სახე ერთნაირს, ერთგვარს** ნიშნავს, საერთოდ არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" ნახმარ **ერთ-სახეს**, ჩვენი აზრით, **განუწყვეტლად** უნდა შეეფერებოდეს, ვიდრე **ერთნაირი** ან **ერთგვარი**. ვ. ბერიძემ ინტუიციით მიაგნო, რომ ამ მაგალითის ერთ-სახე ზახილი ნიშნავს გაბმულ ხმას, მაგრამ რომ იგი გაჭიანურებული, ერთი სახისა და ერთი ტონისაა, ნაკლებ დამაჯერებელია. რაც შეეხება თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებებს **ერთ-სახეს** შესახებ, ისინი არ შეეფერება ამ სიტყვის „ვეფხისტყაოსნის" კონტექსტით საგულისხმებელ მნიშვნელობას.

ამრიგად, 231-ე სტროფის მე-4 ტაეპი ასე უნდა გავიგოთ: ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა განუწყვეტელსა (შეუწყვეტელსა), ხოლო 659-ე სტროფის მე-3 ტაეპი კი ასე: ავთანდილს წამწამთაგან განუწყვეტლად ცრემლი წასდის.

შალვა ღლონტი

„ვეფხისტყაოსნის" 1883 წლის გამოცემის შესახებ

მსოფლიო ლიტერატურის ეს უძვირფასესი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" დღემდე რამდენიმე ათეულ გამოცემას ითვლის მხოლოდ ქართულ ენაზე. იგი სხვადასხვა პირთაგან იცემოდა სხვადასხვა ქალაქში. ერთი ასეთი გამოცემა, რიგით მეშვიდე, დაიბეჭდა 1883 წელს ქუთაისში, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „თავ. პ. გ. წულუკიძის გამოცემა „ვეფხისტყაოსანი", თხზულება შოთა რუსთაველისა, თავ. პეტრე წულუკიძის სტამბა". წიგნი ლამაზად არის გაფორმებული და დაბეჭდილია კირილე ლორთქიფანიძის შრიფტით, რომელსაც მაშინ პეტრე წულუკიძის სტამბაში იყენებდნენ.

წიგნის წარწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „ვეფხისტყაოსნის" გამომცემელი არის პეტრე წულუკიძე, მაგრამ, სინამდვილეში ეს გამოცემა კირილე ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. პეტრე წულუკიძე სტამბის პატრონი იყო. „ვეფხისტყაოსნის" მეშვიდე გამოცემა რომ კირილე ლორთქიფანიძეს და არა პეტრე წულუკიძეს ეკუთვნის, ამას ადასტურებს იმავე 1883 წელს „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნებული პეტრე უმიკაშვილის რეცენზია. აღნიშნულ რეცენზიაში პეტრე უმიკაშვილი ეხება „ვეფხისტყაოსნის" როგორც გარეგან გაფორმებას და შრიფტს, ასევე ტექსტის რედაქციის საკითხს.

„გარეგანის სილამაზით და სიფაქიზით,—წერს პეტრე უმიკაშვილი,—ახლანდელ წულუკიძის სტამბაში გამოცემულ წიგნებს ეტყობა ხასიათი მეცადინეობა. „ვეფხისტყაოსანიც" ამ იშვიათის სიფაქიზით და სილამაზით არის დაბეჭდილი... თვით „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის რედაქციაზე მოკლედ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს მეშვიდე გამოცემა მეექვსიდან არის გადმობეჭდილი ცოტაოდენის შეცვლით. **ეს გამოცემა კირილე ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოვიდა**. იგი შეთანხმებულია, როგორც ნათქვამია გამომცემელთაგან, ვახტანგის დაბეჭდილთან.

მართლაც, კ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის", ვახტანგის გამოცემასთან შედარებამ დაადასტურა პეტრე უმიკაშვილის მოსაზრება, რომ ქუთაისში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი არსებითად ვახტანგის გამოცემას ემთხვევა. ვახტანგის ტექსტის მსგავსად, კ. ლორთქიფანიძის „ვეფხისტყაოსანი" შემოკლებული რედაქციითაა წარმოდგენილი. მასში არ არის შეტანილი „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა", „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება," „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა".

ვახტანგის ტექსტთან შედარებით კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში" გამოტოვებულია ზოგიერთი ქვეთავის სახელწოდება.

საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის" ამ გამოცემის შრიფტის საკითხიც. ასეთი შრიფტით „ვეფხისტყაოსანი" არასოდეს არ დაბეჭდილა. კ. ლორთქიფანიძის შრიფტის უპირატესობა, ტრადიციულთან შედარებით, იმაში გამოიხატება, რომ თვალისათვის ლამაზი და ქაღალდის მოცულობის თვალსაზრისით ძალზე ეკონომიური იყო. ამით აიხსნება ქუთაისში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის" მცირე მოცულობა. წიგნი შეიცავს 188 გვერდს, 12×17 სანტიმეტრის ზომისა.

საინტერესოა ისიც, რომ პეტრე უმიკაშვილი წინააღმდეგი ყოფილა კ. ლორთქიფანიძის შრიფტის გამოყენებისა. ამის შესახებ იგი წერს: „ახლად ნახმარი შრიფტი, როგორც ვიცით, შედგენილია ბატონ კირილე ლორთქიფანიძისაგან. ეტყობა დიდი მეცადინეობა, შნო და სილამაზე. სურვილი ჰქონდა შემდგენელს, რომ ქართულს ნაბეჭდ ანბანს ევროპულსავით ნაკლები ადგილი სჭეროდა და ამასთან ადვილი საკითხავი ყოფილიყო". მაგრამ პ. უმიკაშვილის აზრით, ქართული შრიფტის ბუნება ვერ შეითვისებს ევროპული ანბანის ფორმას. და ამდენად კირილეს შრომა ამ საქმეში დაკარგულად მიაჩნია. „მაშასადამე, ყველა ამ ნათქვამიდან, — განაგრძობს პეტრე უმიკაშვილი, — ცხადად ვხედავთ, რომ ქართულის ანბანის შრიფტის შემუშავების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ასოს სიგრძესა და შუა ტანს ისეთი ურთიერთობა ჰქონდეს, როგორსაც ქართულის ანბანის მოხაზულობის თვისება მოითხოვს და არა ევროპულის ანბანისა".



ვეფხის-ტყაოსანი
თხზულება
შოთა რუსთაველისა

ამდენად, თუ „ვეფხისტყაოსნის" მეშვიდე გამოცემის რედაქტორ-გამომცემლად, უდავო წარწერის მიხედვით, დღემდე მიჩნეული იყო პეტრე წულუკიძე, ამ დიდი ეროვნული საქმის მოთავედ კირილე ლორთქიფანიძე უნდა იქნას დასახელებული.

ასეთი შემთხვევა კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებაში პირველი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1869 წელს, სტუდენტობის დროს, მან პეტერბურგში ცალკე წიგნად გამოსცა ილიას „კაცია-ადამიანი", მაგრამ წიგნს გამომცემლად მიწერილი აქვს მიხეილ ბერთაიშვილის გვარი და სახელი.

ეს იმით აიხსნება, რომ კ. ლორთქიფანიძე თავისებური მოღვაწე იყო. იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა ქართული ლიტერატურის და კულტურის აღორძინებისათვის, სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა ორიგინალურ და ნათარგმნ ნაწარმოებებს, წერდა მეცნიერულ და პოლიტიკური ხასიათის გამოკვლევებსა და სტატიებს, აქვეყნებდა ბელეტრისტიკას და ლიტერატურის საკითხებზე რეცენზიებს, ცემდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ ყოველთვის ფსევდონიმებით ბეჭდავდა თავის ნაწერებს. დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა, თავის გამოჩენა კი არ უყვარდა.

პროფ. **კონსტანტინე მექვილია**

---

* პეტრე წულუკიძე მოღვაწეობდა ქუთაისში. მან უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო საფრანგეთში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მოკიდა სოფლის მეურნეობას. სოფელ კვახჩირში შექმნა მერძეეობის ფერმა, მოშენებული ჰყავდა საზღვარგარეთული ჯიშიანი ძროხები. იგი აგრეთვე ეწეოდა კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

შოთა ნიშნიანიძე

იპოლიტე ვართაგავა

კიდევ რამდენიმე წელი და, მზადა ვარ ამოვიღო საუკუნის გასაღები ჯიბიდან, მაგრამ მე არ ვიცი, შევეხები თუ არა ჩემი საუკუნის ცხრაკლიტულს, რომლის გაღებაც ერთეულების ხვედრია.

მე ამ სიტყვებით სინანულს როდი გამოვთქვამ ჩემი ბედის წინაშე და არც კარზე მომდგარი სიკვდილი — გილიოტინა აფრთხობს ჩემს სულს. ჩემი სიცოცხლე თითქმის საუკუნის სიგრძეზეა გადაჭიმული და იმ დღეებიდან მომდინარეობს, როცა ილია ჭავჭავაძე 35 წლისა იყო, ხოლო აკაკი წერეთელი — 32 წლისა. და აი, მას შემდეგ 94 წელმა განვლო და მე მაინც არც თუ სუსტად ვგრძნობ თავს და რომ თვალებს არ ეღალატნა ჩემთვის, დღესაც საკუთარი ხელით განვაგრძობდი მინიატიურებზე თუ მოგონებებზე მუშაობას.

მე ღრმად მოხუცი, აკაკის და ვაჟას თანამედროვე, XIX საუკუნის დიდ ლიტერატურულ ტრადიციებზე გაზრდილი ადამიანი ვარ და ვშიშობ, არ ვიყო ჩამორჩენილი ლიტერატურული თანამედროვეობისაგან, რომელიც სულ სხვა, ახალი გზით მიდის.

მე არანაკლებ დაინტერესებული ვარ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოქმედებით, რომელთაც ეს-ეს არის იხილეს მზე და მკითხველის თბილი თითები, მათი დამსახურებული მადლობა თუ მსჯავრი, მაგრამ ჩემი უკვე რამდენიმე წლის თვალჩინობა თანდათან მაშორებს მათ მაშინ, როდესაც ვცდილობ ახლოს მივიდე მათთან და იმ პატარა კალმით მცირეოდენი მოსაზრება გამოვთქვა მათს შესახებ, რითაც ერთ დროს გიორგი წერეთლის „კვალში“ თუ ილიას „ივერიაში“ ვთანამშრომლობდი და ვაჟას სიცოცხლეშივე მის დიდ შემოქმედებაში ჭეშმარიტ გენიას ვჭვრეტდი.

ძნელია ყოველდღე აწუხებდე ოჯახის წევრებს ან თუნდაც სხვას, რომ სისტემატურად გიკითხონ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული ლიტერატურა ან კარნახით აწერინო რაიმე წერილი ან შენიშვნები. ამ შემთხვევაში რადიო ყველაზე დიდ სამსახურს მიწევს. მე მით ყოველდღიური ცხოვრების კურსში ვარ და თვალყურს ვადევნებ ჩვენი მწერლობის საქმიანობას. ერთ-ერთი ასეთი მოსმენის დროს მე გავიცანი ახალგაზრდა პოეტის შოთა ნიშნიანიძის შემოქმედება, რის შესახებაც მინდა გესაუბროთ ჩემს წერილში. ამ ნიჭიერ პოეტს ადრე მე არც თუ კარგად ვიცნობდი და ეხლა, როცა მისი ლექსების ახალი წიგნი ეს-ეს არის წამიკითხეს ჩემმა შვილიშვილებმა, მე მთლიანად დავეთანხმე გრიგოლ აბაშიძის „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილ მოსაზრებას, რითაც მან შოთა ნიშნიანიძე ღირსეულად დააყენა იმ ახალგაზრდა ავტორთა გვერდით, რომელთაც რატომღაც მეტ აღიარებას ანიჭებდნენ მკითხველები.

ამასთანავე ჩემმა შვილიშვილებმა მე წამიკითხეს ორი აღიარებული პოეტის ანა კალანდაძის და მუხრან მაჭავარიანის ლექსები და, თუმცა მათ შესახებ სათანადო ვრცელი წერილიც მინდოდა დამეწერა, მე აქ კალმის ორიოდე მოსმით მოკლედ აღვნიშნავ: ორიგინალური, უაღრესად ვაჟკაცური, თბილი და დასრულებული ლირიკა — აი მათი პროდუქცია; დიდი ორიგინალობის მიუხედავად, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის და მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას მაინც ერთი ლამაზი პოეტური სარჩული უდევს, რომელსაც საქართველო ჰქვია. ამ საყვარელი მამულის წინაშე ეს სამი პოეტი ისე ლოცულობს, როგორც მესამე საუკუნის როდოსელები 72 მ. სიმაღლის მზის ღმერთის ჰელიოსის ხსოვნის ქანდაკების წინაშე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, კოსმოსური მისტიკის ნაცვლად, მათ სტრიქონებში ფეთქავს საქართველო თავისი მთით და ბარით. ამ სამ ადამიანს დიდი შემოქმედებითი უნარი და პოტენცია გააჩნია და ისინი საკუთარი გზებით მიდიან მწვერვალისაკენ, მაგრამ მე არ ვიცი, ჩვენი პოეზიის დედოფალმა ანა კალანდაძემ ამოწურა თავისი პოეზია, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ იგი წლების მანძილზე არსად არ იბეჭდება. ასევე საოცრად იშვიათად გაიქროლებენ ხოლმე პრესის ფურცლებზე შოთა ნიშნიანიძე და მუხრან მაჭავარიანიც. თუმცა დუმილიც თავისებური შემოქმედებაა; იგი წლების მანძილზე გულში აგროვებს ძალას და ბოლოს ვულკანივით ამოიფრქვევა ხოლმე. ყველაფერმა ამან მე დამარწმუნა, რომ ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე და მუხრან მაჭავარიანი, — ეს შესანიშნავი სამეული, ერთნაირი მხატვრები არიან და მაშინ წერენ, როცა განიცდიან.

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები უთუოდ სხვებიც არიან ჩვენში, მაგრამ ეს სამი შემოქმედი მე იმიტომ გამოვაცალკევე და წავაკითხვინე, რომ მათ პოეზიაზე არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა — დავა თუ მოწონება, რომელიც ბოლოს მკითხველთა სიყვარულით მთავრდება. ეს ბუნებრივიც არის — ყოველ ახალს დიდი წინააღმდეგობა ელოდება. მოიგონეთ როდენის „ბალზაკი“, რომელმაც ერთ დროს კინაღამ შეაშინა ამერიკელი დამკვეთი მილიონერები თუ ფრანგები და გამოფენაზე გამოტანის უფლებაც კი არ მისცეს. დღეს კი აღნიშნული ქანდაკება მსოფლიოს ხელოვნების საგანძურშია...

ახლა უშუალოდ შოთა ნიშნიანიძის პოეზიის შესახებ.

რა თქმა უნდა, ამ პოეტის შესახებ მე გესაუბრებით ძირითადად იმ ლექსთა კრებულით, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა 1964 წელს. მას უთუოდ კარგად იცნობენ ქართველი მკითხველები, ამიტომ ზედმეტი ციტირებებით თავს არ შეგაწყენთ.

კრებულში ხუთი განყოფილებაა და, ბუნებრივია, რომ პირველი ნაწილი „ერთი მუჭა მიწა“, ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე, წარსულის მშვენიერ დასურათხატებას იძლევა. იგი მართლაც, ჭეშმარიტი საგალობელია ჩვენი სისხლიანი ისტორიისა, რომლის შესახებაც, თუმცა მრავალი დაწერილა, მაგრამ ხელოვნების უკვდავება სწორედ ის არის, რომ ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს აძლევს საკუთარ ჰორიზონტს, რომ საუკუნეების მიღმა დაინახოს სხვისგან დაუნახავი სურათები, „წყალში ახრჩობილი ბრძოლის სურათები“ და „ისრით დაკაწრული ციხე“.

საქართველოს ისტორია აფორიაქებული დღეებით და სოდომის ნგრევით მოვიდა დღემდე. ამიტომ მის დღევანდელ შვილს უფლება აქვს ცრემლნარევი მზერით იგონებდეს და წერდეს მის შესახებ. მე ვხედავ, რომ შოთა ნიშნიანიძე ნამდვილი ქართველია, რომელსაც ჩვენი დიდი წარსული რაღაც გრავიტაციული ძალით იზიდავს და ქრონიკული ტკივილებით განიცდის მას, როგორც მოუშუშებელ იარას. ნამდვილი შემოქმედი წარსულის სურათებითაც უნდა აბედნიერებდეს თავის თანამედროვეობას. დიდი ნიზამი საუკუნეობით იხედება უკან და პოემა „ისქანდერ-ნამეში“ ალექსანდრე მაკედონელზე წერდა საოცარ სტრიქონებს. შესანიშნავი ადამიანის გერონტი ქიქოძის თქმით, ჰიტლერელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ფუჩიკმა „ჩეხეთის ისტორიული წარსულიდან ჰუსიტების დიდი აჩრდილები გამოიწვია“.

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა... საქართველო მარად უკვდავია. „ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა“ და სრულიად ზედმეტია, ამ ლამაზ სიტყვებს რაიმე კომენტარი გაუკეთო. პოეტს უნდოდა აი ამ უკვდავ მხარეს „შემოვკვდომოდა იმ სამანგულ დროში“ და მისი ჩალისფერი დროშის ჩრდილქვეშ მომკვდარიყო.

რომელი ერთი ლექსი დავასახელოთ: „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ხევსური“, „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, „ხმალთა ქარაგმა“ თუ „მესხეთის ქალაქს მარონი დუღს“... ეს ისეთი ლექსებია, რომ ყოველი მათი სტრიქონი ციტირების ღირსია, მაგრამ ეს მეტად უხერხული იქნებოდა; სჯობს ისევ თქვენ გადაიკითხოთ ხელახლა.

ლექსთა მეტად თავისებურ წყობას, უბრალო სიტყვებს, მაგრამ მდიდარ პოეტურ სახეებს ჩვენ იმ საუკუნეებში გადავყავართ, როცა ქართველი ფეოდალები, შადიმან ბარათაშვილის, ქაიხოსრო ჯავახიშვილის, ისე ქსნის ერისთავის თუ ნუგზარ ერისთავის სახით ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ საქართველოს, ქრისტიანულ რჯულს, რათა საკუთარი ძალაუფლება ჰქონოდათ ხელთ. კიკანათბერის ციხეში, ისე, როგორც ლონდონის ნიუგეიტის საკნებში აბჯრიან რაინდებს, სულს ხდიდნენ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთ, სასიკვდილოდ დევნიდნენ კურთხეულ გიორგი სააკაძეს — გმირთა გმირს. გაიხსენეთ 1626 წლის ბაზალეთის ტბასთან ზურაბ ერისთავს და გიორგი სააკაძეს შორის გამართული ომი — გაიხსენეთ, თუ სააკაძის მომხრობისათვის როგორ დასაჯა საკუთარი ძმა ზურაბ ერისთავმა, „შეიპყრა გიორგი და აღმოხადნა თვალნი“...

გიორგი სააკაძე საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა, მაგრამ მისი გეგმა უფრო პროექტი იყო, რომელსაც საზიზღარი ფეოდალების ხელში ახდომა არ ეწერა და იგი, შვილთან ერთად, სამშობლოდან გადაიხვეწა, სადაც თავი მოჰკვეთეს, მაგრამ, იულიუს ფუჩიკისა არ იყოს, ადამიანი არ პატარავდება იმის გამო, რომ თავს ჰკვეთენ. ასეა გიორგი სააკაძის საქმეც. მისი სახელით დღესაც ვამაყობთ ქართველები და ხშირად სუფრაზე ვმღერით ხოლმე კიდევ:

რა ვუთხრა იმავ ქართველსა,
ვის ლხინი გაჰკვირვებია
და სააკაძე გიორგი
ერთხელ არ გახსენებია.

მაგრამ ყოველივე ამ მძიმე დღეებმა გაიარა...

ჩემო წინაპარო, ჰაუ რა გიქნია —
საუკუნეები შუბზე აგიგია! —
ციხე, ანძა, ხატი, სალოცავები ლია —
მხარზე გაგიდევს და ზღაპრად
წაგიღია...

დიახ, პოეტის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილმა ამ შესანიშნავმა ლექსებმა მაიძულა მცირე ექსკურსი გამეკეთებინა წარსულში და ძირითადი თემიდან ოდნავ გვერდზე გადამეხვია. გადავუხვიე და მგონია, არც შევცდები, რადგან შოთა ნიშნიანიძის ლექსების წაკითხვამ წარსული მომაგონა, ტკივილები მაგრძნობინა...

ხარის პრობლემა დიდიხანია დასმულია როგორც ქართულ ხალხურ, ისე კლასიკურ პოეზიაში. ხარი, შეიძლება ითქვას, ნამდვილი კერპი იყო ქართველი ადამიანისა და ეს არც გასაკვირია: ხარმა, ხმალმა და ვაზმა ჭეშმარიტად გადაარჩინა საქართველო. „უღლის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების“. ეს პრობლემა მე ისე ბრწყინვალედ და საღად გადაწყვეტილი ჯერ არსად წამიკითხავს ჩვენს პოეზიაში, გარდა ნიშნიანიძის კრებულისა, სადაც აღნიშნული ლექსი ერთი უძლიერესთაგანია.

მკითხველს ჰგონია, თითქოს პოეტი წლების მანძილზე მეხრე ბიჭი იყო, თითქოს „წიქარას“ ზღაპარი მას ახდენოდეს ცხოვრებაში.

აღნიშნული ლექსი ტრილია არა მარტო ხარისა, არამედ მის მიღმა ამოფარებული ჩვენი სისხლიანი წარსულისა და მშრომელი ადამიანის დაუნდობელი ბედისა, როცა იგი ნაჯაფარ ხარს, მადლობის მაგიერ, წამოაქცევდა და დაკლავდა ხოლმე.

ბევრი პოეტი და ბევრი რიგითი ადამიანი ყოფილა მწერალთა კავშირის შენობაში და მინებში ამოკვეთილ ვეფხვის თავს არაერთხელ ჩაშტერებია მრისხანე და ძლიერ თვალებში, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ მასზედ რაიმე დაეწერა. ეს თუმცა, არც გასაკვირია, რადგან ყველა ყველაფერს ერთნაირად როდი განიცდის. ახალგაზრდა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ მასში დაინახა ის დიდი ნახტომი და აზიის ხივხივით მოთახთახე ტანი, რაც ასე დამახასიათებელია ვეფხვის უძლიერესი ბუნებისათვის...

წიგნის მთლიანი მოსმენისას დავრწმუნდი, რომ შოთა ნიშნიანიძე ერთნაირი სიძლიერით ხატავს ისეთ მარადიულ თემას, როგორიც სიყვარულია, თუ ზოგადად ადამიანის რთულ ფსიქოლოგიურ განცდებს, მინიატიურებს...

სიყვარული მთავარი საფუძველია კეთილშობილი სიცოცხლის არსებობისა და შთამომავლობისა, „ოჯახში ჩვილის პირველი ნაბიჯებისა“. ამიტომ არც გასაკვირია, რომ პოეტს ამ საკითხისადმი მთელი ციკლი აქვს მიძღვნილი, რომელშიც ბევრი ღრმად გააზრებული და ტკბილი ლექსია შესული.

მინიატიურები საკმაოდ რთული პოეტური ჟანრია. ეს სირთულე იმით გამოიხატება, რომ ორიოდე სიტყვით პოეტმა უნდა დახატოს შთამბეჭდავი სახე, დაუვიწყარი სურათები. ნიშნიანიძეს კარგად შეუძლია ხატოს ასეთი სურათები, რასაც ამტკიცებს „ნაადრევი ნაყოფი“, „ცეცხლი“, „...დილა ატმებში შეფუთული“ და მრავალი სხვა. „სიტყვა მოქნილი ხელისა“, — გვაფრთხილებს ნიზამი საუკუნეების სიღრმიდან და ეს მოქნილობა ნიშნიანიძის ყველა მინიატიურას თან სდევს.

მე ბევრს აღარ გავაგრძელებ. მეშინია, ამ ღრმად მოხუცმა ადამიანმა ისეთი რამ არა ვთქვა, რომ პოეტიც და მკითხველიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ან არაფრისმთქმელი მსჯელობებით თავი მოვაბეზრო.

დავუმატებ, რომ შოთა ნიშნიანიძის სახით ქართულ პოეზიას მეტად საიმედო ძალა, მრავალმხრივი და ორიგინალური ხმის პოეტი ჰყავს, რომლის შემოქმედება დღითიდღე იზრდება. იგი არამარტო კაშტელივით ხატავს ჩვენს დიდ ისტორიულ წარსულს, არამედ თანამედროვეობასაც, ვაჟკაცურად რომ მიმართავს:

„შენი ახალი მჭედლე ვარ, შენი ახალი ჩუქურთმა“.

დიახ, შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთი უნიჭიერესი შემოქმედია, რომელიც თამამად მხარში უდგას ბევრ ჩვენს სახელოვან პოეტს. მის ლექსებში მე ვგრძნობ დიდ ეროვნულ ხიბლს, რომელმაც დამარწმუნა, რომ ჩვენი კლასიკური პოეზია თავისებური გზით იზრდება და ვითარდება.

უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ არსებობს რაღაც შინაგანი ნათესაური კავშირი შ. ნიშნიანიძის და შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლის, ნიჭიერი პოეტის მურმან ლებანიძის შემოქმედებას შორის. ეს კავშირი იმით გამოიხატება, რომ მათ პოეზიას ამკობს საოცრად თბილი, ნაზი, სრულიად ახალი პოეტური ხერხები, სახეები, ლექსის სამშვენებლო სიტყვიერი მასალა, რაც ესოდენ დაყრდნობილია უმდიდრეს ქართულ ხალხურ პოეზიაზე. რომელიც ორი ნიჭიერი პოეტის აზროვნებაში თავისებურად გადმოხარშულა და მეტად უნაზესი ფორმა მიუღია. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მათს პოეზიაზე.

ჩანს, რომ შოთა ნიშნიანიძე, [illegible] დროს არ ჰკარგავს და დაძაბულად მუშაობს, რადგან მისი სიტყვისა [illegible] უნდა [illegible] და რაც [illegible] მეტი შემოქმედება [illegible].

— [illegible] ვინმე მოეწონება. ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდა პოეტიც ბედნიერია, შრომობს და იმედის პოეტურ ბედნიერებას. იგი უკვე ლექსთა რვა კრებულის ავტორია.

მაპატიოს პატივცემულმა პოეტმა, რომ მის კრებულზე ძირითადად აქ გამოვთქვამ საუბარს. ვიცი, რომ პოეტი უფრო მეტს მოელოდა ჩემგან, რომ მე მის ყველა ლექსს სათანადოდ ავწონ-დავწონიდი და თითოეულ სიტყვაზეც კი რაიმე ვეტყოდი, მაგრამ რა ძნელია, როცა საკუთარი თვალით ვერ კითხულობ და სხვისგან მოსმენილის მიხედვით აკეთებ დასკვნას რაიმე ნაწარმოებზე...

პირადად მე შოთა ნიშნიანიძეს არ ვიცნობ. მხოლოდ გაზაფხულზე მქონდა შემთხვევა, რომ ტელეფონით მესაუბრა მასთან, გადამეცა ჩემი დიდი კმაყოფილება მის ლექსებზე, რაც სწორედ იმ წუთში რადიოთი მოვისმინე.

მე ვიცი, რომ ჩემი გულახდილი საუბარი შოთა ნიშნიანიძესთან უკანასკნელია, მაგრამ უკანასკნელი არ იქნება პოეტის ის კრებული, რომელიც ჩემს შვილიშვილებს ხელში უკავიათ და გატაცებით მიკითხავენ.

თანაკლასელები.

მხატვარი ნ. მხეიძე.

მარი აბრამიშვილი

მ ზ ე

გუშინაც იყო მზე,
დღესაც ანათებს მზე,
ხვალაც ამოვა მზე,
მოეფინება გზებს.
გადმოეღვრება მთებს,
განსჭვრეტს სამყაროს მთელს,
სადაც მიაპყრობს თვალს —
დასწყავს სიბნელის კვალს.
აბიბინებს ხმელს,
აალივლივებს ზღვებს,
მადლი მის ოქროს ხელს, —
ბედნიერებას წერს.
დღეს თუ გვიღიმის ჩვენ,
ხვალ გაუღიმებს სხვებს,
სუყველა უყვარს მზეს,
სუყველასია მზე.
მისით იმაგრებს ძვლებს
ადამიანის ძე.
ხე რომ ხე არის, ხეც
განა უმზეოდ ძლებს?
ნეტავ რას ჰქვია მზე? —
ჰკურნავს ყოველგვარ სენს,
ნეტავ რა არის მზე,
ასეთი მძლეთა მძლე?
სიცოცხლეს ჰქვია მზე,
სიყვარულს ჰქვია მზე,
მშვიდობას ჰქვია მზე,
ლენინი არის მზე!
უკვდავებაა მზე!

ბეთანიის გზაზე

აღმართები,
დაღმართები,
ბილიკები ტყეში.
მივაბიჯებ აღმაფრენით
მზე ცხელ ისრებს მესვრის.
ყვავილები, ყვავილები,
ყვავილების ზღვაო,
გზაო, ნუღარ დაილევი —
ოცნება ხარ, გზაო.
დამიჯაბნეს აღმართებმა,
შემაშველე ხელი!
მიდის, მიდის, არ თავდება
გზა და... თითქოს მღერის.
აღმართები, აღმართები —
ასარბენი წამში,
გულო, აქ არ მიორგულო,
არ დამტოვო გზაში.
თავს მევლება გრილი სიო,
ტყის ლამაზი სული,
კვლავ შევხვდები თბილისშიო
მწვანედ გადაცმული.
ბეთანიის ველებია,
მამაპაპის ძვლები, —
ჯაჯუხული ღელეებია
საქართველოს გზები.

[illegible]

ცისარტყელა სტრიქონებში

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ვიყავით მიწვეულნი. მოსწავლეებმა თავიანთი თვითმოქმედება გვიჩვენეს. სკოლის კლუბის სცენაზე პაწიები გამოცქრიალდნენ. მზე-ბიჭმა — ცეროდენა მხატვარმა დაიწყო ხატვა — გაიკისკისეს წითელმა ყაყაჩომ და ლურჯთვალა იამ, ჩაიბურდღუნა დათუნამ და მზე-ბიჭს წითელი შვინდის დახატვა შეუკვეთა. მზე-ბიჭმა ხატვა მოათავა და თვალს მიეფარა. სცენაზე შემოვარდა წვიმა-გოგო, მზის კუდრაჭა დაია. იგი ძმის ნახატებს მივარდა და მყისვე არეულ-დარია. აჭყივლდა ყურცქვიტა, აწივლდნენ წიწილები. მათს ძახილზე მზე-ბიჭმა მოირბინა, გაუწყრა დაიკოს და კუთხეში დააყენა. ატირდა წვიმა-გოგო —

— მეც კი მინდა დახატვა,
მზე ფერადებს მიმალავს.

მზე-ბიჭს შეეცოდა ცრემლიანი დაიკო, თანაც მოეწონა მისი დახატული კოკრიანა ქუდიანი სოკო; ნაწვიმარზე მოკრეფილი მარწყვის გორგიანმა დათუნიამაც წაიმღერა.

მზემ წვიმა გულში ჩაიკრა. მზე პირს იბანსო, აკისკისდა ნაკადული. ძმამ დას ფერადები მისცა და ერთად დაიწყეს ხატვა.

რიგრიგობით გაჰკრეს ხელი,
და-ძმამ თავი ისახელა,
გადაუხვევს შვიდი ფერი,
გამოვიდა ცისარტყელა!

ასე ვნახე უმცროსკლასელთა მიერ სცენაზე ხორცშესხმული „მიყვარს ყველა ცისარტყელა“ — მაყვალა მრევლიშვილის პოემა-ზღაპარი, რომელიც ორიოდე დღის წინ წავიკითხე. წიგნი სულ ახლად გამოსული იყო და გამიკვირდა კიდეც — ასე მალე როგორ მივიდა ამ პაწიებთან.

თუმცა რა იყო გასაკვირი. მაყვალა მრევლიშვილი ისეთი პოეტია, რომლის საბავშვო ნაწარმოებებიც მელნის შეშრობამდე მიდიან ჩვენს პატარა მკითხველებთან, წერა-კითხვის მცოდნეებთან თუ არამცოდნეებთან, მიდიან და, მისი ერთი ლექსისა არ იყოს, ეუბნებიან: „შენ გიგალობ, პატარავ, დილა მშვიდობისა!“

ბროლივით წკრიალა და გამჭვირვალე, ნიავივით ნაზი და სხივივით ნათელია ეს გალობა. ასეთი ნაწარმოებია პოეტი ქალის ახალი პოემა-ზღაპარიც, სადაც თითქოს ისმის ბუნების სუნთქვა და ხელით ეხები ცისარტყელას ფერებს. ზუსტი და უნაკლოა მისი ყოველი სიტყვა თუ სტრიქონი.

ბავშვმა, რომელიც ის-ის იყო სწავლობდა კითხვას, დამარცვლით წაიკითხა პოემის ბოლო სტრიქონები: „და შვიდფერი ცისარტყელა გადაფინა მთა და ბარში“ და მაშინვე წინა გვერდს მიუბრუნდა, სადაც მზის მიერ წვიმისათვის მიცემული ფერადები იყო ჩამოთვლილი.

ეგ — წითელი,
ეს — ნარინჯი,
ეს — ყვითელი,
გინდა — მწვანე?
ეს ცისფერი,
აგერ ლურჯი
იისფერიც,
გენაცვალე!

ისევ წაიკითხა, თავისი პატარა თითი ჩაიკოლა და დათვალა. ზუსტად შვიდი ფერი გამოვიდა. ეს პატარა დეტალი როდია.

პოემა დიდად ამდიდრებს ნორჩი მკითხველის გონებას, უვითარებს ფანტაზიის უნარს, აძლევს თვალსაჩინო წარმოდგენას ბუნების მოვლენებზე, მათს ურთიერთობაზე და ამავე დროს უბრალოდ, შთამბეჭდავად უყვება მხიარულ ზღაპარს.

ისევ სკოლის სცენაზე წარმოდგენილი „მიყვარს ყველა ცისარტყელა“ მაგონდება. როგორ ჰგავდნენ სცენაზე გამოსული მზე-ბიჭი და გოგო-წვიმა წიგნში დახატულ მზე-ბიჭსა და გოგო-წვიმას. ამ მშვენიერ წიგნს ნამდვილად ამკობს მხატვარ ნ. მალაზონიას შესანიშნავი ნახატები. აი თუნდაც სხვადასხვა „მხატვრების“ — მზისა და წვიმის მიერ შესრულებული ერთი და იგივე პეიზაჟები, რომლებიც წიგნის შუა გვერდებზეა მოთავსებული.

„მიყვარს ყველა ცისარტყელა“ [illegible] გამოვიდა. ჩვენი პატარები მიეგებნენ, ისინი ყოველ წელს ელიან დეიდა მაყვალას ახალ წიგნს.

თ. ჯანგულაშვილი

ადამიანი დაიბადა ცხოვრებისათვის

ჩვენი შესანიშნავი დღეების სუნთქვა, მკვეთრი ფერები, ზუსტი და მეტყველი სახეები, ფრთიანობა და მუსიკალობა, — აი რით ხასიათდება რევაზ ასაევის ლექსების წიგნი „ადამიანი დაიბადა ცხოვრებისათვის“, რომელიც ამასწინათ რუსულ ენაზე გამოსცა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“.

კრებულში შეტანილი ნაწარმოებები თემატურად მრავალფეროვანია და მაინც წიგნის მთავარი თემა ხალხთა მეგობრობა. პოეტს უსაზღვროდ უყვარს თავისი მშობელი ოსი ხალხი, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ძმობითა და მეგობრობით არის დაკავშირებული მოძმე ხალხებთან. პოეტი შთაგონებით უმღერის მშობელი ხალხის გმირობასა და სიმამაცეს.

კავკასიის შიშველ, კლდოვან უნაგირზე
ცარიელი ხურჯინივით ვიყავი.
მაქცევდნენ და კვლავ ვდგებოდი
მტრების ჯიბრზე.
ვერ მაკრთობდნენ
ავი დრო და გრიგალი.

ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში. რ. ასაევი შთამბეჭდავი სიღრმეებით ხატავს ჩვენი დიდი სამშობლოს ერთგვარ პოეტურ რუკას. ამ რუკაზე მიედინება რუსი კაცივით დინჯი ვოლგა, გარდასული ბრძოლების ეპოს გადმოგვცემს დონი, ციმბირის გაჩეხილ ყამირზე შრიალებენ ყანები, გრილი ნიავი დაჰქრის ვარძიის თაღებქვეშ, მოსკოვის აეროდრომებზე ოსი ცხენოსნები გასულან საჯირითოდ, მზის სხივები ირეკლება ალტაის მთებსა და ველებზე, მზეურვალისაგან აღმოკიდებულ სივრცეს.

ახლა ოსეთიც ციმციმებს ალბათ
ცისკრის ვარსკვლავის სიელვარეში,
მთებს ტანზე ზეცა ახურავთ ნაბდად
და თავით უდევთ ღრუბლის ბალიში.
ჯვრის უღელტეხილს უზანგებივით
ვით ცხენს, ჰკიდია არაგვი, თერგი,
ციმბირსაც მარად შვენის ფრთოვნივით
ბევრი მდინარე — სიკეთის ნერგი.

პოეტი მარტო ბუნების პეიზაჟებს როდი გვიხატავს. მის ლექსებში თვალნათლივ ჩანს ამ ბუნების უპირველესი მშვენება — საბჭოთა ადამიანი — ბუნების გარდამქმნელი, კომუნიზმის გმირი მშენებელი, ადამიანი — ადამიანის ძმა და მეგობარი.

ქართველო, სალამს გიგზავნის ოსი,
ქართლო, ოსეთი მოკითხვას გითვლის,
ერთმანეთს ძმურად ვეხვევით,
ვკოცნით,
როგორც მტკვრისა და ლიახვის
ზვირთნი.
ჩვენ გუშინდელი როდი ვართ ძმები,
ჩვენ მეგობრობა ძველთაგან მოგვდგამს,
ზიარი გვქონდა ძველთაგან ცრემლი,
ლხენაც ძველთაგან საერთო გვქონდა.

საინტერესოა ლექსი „ადამიანი დაიბადა ცხოვრებისათვის“. დიდი სამამულო ომის მონაწილე პოეტი დიდი განცდითა და უშუალობით იგონებს სამამულო ომის დღეებს, სასტიკ პროტესტს აცხადებს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და შთაგონებით უმღერის მშვიდობას, მის დიდ და ძლიერ დამცველს — კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს.

რევაზ ასაევის წიგნი რუსულ ენაზე სიყვარულით უთარგმნია პოეტ გერასიმ კრონგაუზს.

იოსებ ვალიევი

ხევსურეთი.

მხატვარი ო. ჯაფარიძე.

ხუთი წითელი მიხაკი

მოთხრობა

თამაზ გოდერძიშვილი

სამუშაო დღე დიდი ხანია დამთავრდა. დამლაგებელმა რამდენჯერმე შეაღო ლაბორატორიის კარი. რევაზი ისევ ისე იჯდა თვალდახუჭული, უძრავად. დამლაგებელმა მთელი სართული დაასუფთავა და ისევ შეიხედა რევაზის ოთახში. მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

რევაზს არც გაუგია, ვინ მოსულიყო. მერამდენედ აკვირდებოდა ატომთა აღნაგობას. ელექტრონებთან ერთად ტრიალებდა წარმოუდგენელი სისწრაფით, იხსენებდა პირველ ცდას, მის შედეგს, შემდეგ მეორე ცდასა და მის შედეგს... დღეს დაუსვა წერტილი! დღეს დადგინდა უცნაური თვისებების მქონე ნაერთი, ეს ნაერთი რევაზმა ჩაკეტა სეიფკარადაში, რომელიც დამონტაჟებული იყო სქელი თეთრი კედლების იქით, ტყვიის კოლოფში. ბევრნი წინასწარმეტყველებდნენ ამ ნივთიერების არსებობას. მაგრამ ვერცერთმა ვერ შეძლო მიეღო იგი უნაკლოდ. რევაზმა შეძლო! რევაზმა შეძლო დიდი ხნის წინათ, მაგრამ დღეს, მხოლოდ დღეს დარწმუნდა რომ შეძლო. რევაზს უყვარდა მოგზაურობა თვალით უხილავ სამყაროში. საინტერესო სათავგადასავლო რომანს აგონებდა იგი. ჩავარდნილა კიდევაც გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ყოველი ნაბიჯის ზუსტი შემოწმებით და... დაძლეული ხლდის შემდეგ კვლავ ჩნდებოდა უცნობი, ათასგვარი მოულოდნელობებით სავსე ვამირი. მეცნიერის მოქნილმა გონებამ შეძლო ეს ვამირი გაეტეხა. ხვალვე მოახსენებს ყველაფერს სამეცნიერო საბჭოს. ახლა სახელის შერჩევაა საჭირო. რევაზმა იცოდა, რომ ყველას, თითქმის ყველას, მეცნიერებით დაწყებული ცნობილ მწერლებამდე, უჭირდა სახელისა და სათაურის მონახვა. მაგრამ ახლა სულ სხვაა. ნაერთს შეიძლება დაარქვა იმ კაცის სახელი, რომელიც გაწყალობდა, ან რომელიც გიყვარს. ქალის სახელს ვერ დაარქმევდა, რადგან არავინ არ უყვარდა. დარჩნენ მასწავლებლები და უკვდავი ადამიანები. თუმცა, როგორც რევაზი ამბობდა, არც იყო განსხვავება მათ შორის. იგი თავის მასწავლებლად თვლიდა მეცნიერებსაც, პოეტებსაც, კომპოზიტორებსაც, მხატვრებსაც და საუკეთესო არტისტებსაც.

რევაზმა თვალი გაახილა. ლაბორატორიაში ბნელოდა და ხელსაწყოების უცნაური ჩრდილები ბებერი ალქიმიკოსის იდუმალ დარბაზს ამსგავსებდა იქაურობას.

რევაზი წამოდგა. სინათლე აანთო. ლურჯი ხალათი გაიხადა და პალტო ჩაიცვა. ძლივს იპოვნა ლაბორატორიის გასაღები. კარს რომ ჰკეტავდა, მტკიცედ გადაწყვიტა დარჩენილი საღამო მხიარულად გაეტარებინა. „მეცნიერი მუშაკი რევაზი ამ ოთახში ჩაკეტილი რჩება“, — გაიფიქრა მან. მერე კარს იქით დარჩენილ ორეულს ხელი დაუქნია და სწრაფად დაეშვა კიბეებზე.

ინსტიტუტთან ისე ახლოს ცხოვრობდა, რომ ვერც იგრძნო ზამთრის საღამოს სუსხი.. შინ სიცხე დახვდა. სარკმელი გააღო. მერე ტანზე გაიხადა და სააბაზანოში შევიდა. სააბაზანოში რევაზს სიმღერა უყვარდა. ამოიჩემებდა რომელიმე მელოდიას და მღეროდა გაუთავებლად. უცებ ტელეფონის წკრიალი მოესმა. რევაზმა სასწრაფოდ გადაიცვა თბილი ხაოიანი ხალათი, ფეხები რეზინის ჩუსტებში წაჰყო და ოთახში გამოვარდა. მაგრამ სანამ ტელეფონთან მივიდოდა ზარის წკრიალი შეწყდა. ცოტახანს კიდევ იცადა, მაგრამ აღარავის დაურეკავს. სააბაზანოში დაბრუნდა და ელექტროსამართებლით წვერი გაიპარსა.

როცა თეთრ გახამებულ პერანგს იცვამდა, სარკესთან მივიდა და ჩაიხედა. „სად მიდიხარ?“ — ჰკითხა ორეულმა.

რევაზმა სარკმელი მიხურა და რბილ სავარძელში ჩაეშვა. „რა ვიცი, სად მივდივარ! არსადაც არ მივდივარ!! დაღლილი და დასვენება მჭირდება. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, არც დავღლილვარ. ასეთი დღე ძალას მმატებს. თანაც ისეთ მოუსვენარ ძალას, რომ არ ვიცი, რა მოვუხერხო. დავუშვათ, დღეს არ ყოფილიყო ასეთი მნიშვნელოვანი დღე და ჩვეულებრივი ოთხშაბათი ყოფილიყო. განა მაშინ არ შემეკითხებოდა „სად მიდიხარ?“ მაშინ რას ვაკეთებდი?! ეგებ წამოვწოლილიყავი და რამე წამეკითხა, თუნდაც ლექსები“.

რევაზმა ეს გაიფიქრა თუ არა, წამოხტა და პატარა ოთახში მაგიდის გარშემო დაიწყო სიარული. მას შეეძლო შინ დარჩენილიყო. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გაუკეთებია ასე, როცა რომელიმე წვეულებაზე არ უნდოდა წასვლა. მაგრამ მან ახლა ცხადად იგრძნო, რომ ეს არ არის მხოლოდ უგუნებობა. ეს უკვე სიმარტოვის შეგრძნება იყო. ყველაზე ძალიან მას სიმარტოვე სძულდა, მიუხედავად იმისა, რომ, რაც გააკეთა ან მოიფიქრა, ყველაფერი მაშინ ხდებოდა, როცა ამ ოთახში ან თავის ლაბორატორიაში მარტო იყო.

— სიმარტოვე... სიმარტოვე!! მარტო... რტო. — სთქვა რევაზმა ხმამაღლა. მერე წამოდგა, სარკესთან მივიდა და ჰალსტუხი ლამაზად შეიკრა. მუქი ნაცრისფერი ჰალსტუხი მოიძებნა, კვანძს დააცქერდა, არ მოეწონა, დაშალა და ყელზე შეიხვია ხელახლა.

— კარგია! — თქვა ისევ ხმამაღლა და წამსვე გაიფიქრა: „რა ვქნა ახლა მე?“

რევაზი საწერ მაგიდას მიუახლოვდა, უბის წიგნაკი ამოიღო, რბილ სავარძელში ჩაეშვა და ტელეფონს დააცქერდა.

— „ინსტიტუტიდან — შინ, შინიდან — ინსტიტუტში. ყოველდღე, ყოველდღე! ხანდახან ვინმე გულისხმიერი თუ გამომიჩნდება და კინოში დამპატიჟებს“.

მაგრამ აქვე გაახსენდა: ხანდახან ისეთ უინტერესო და მშრალ სურათებს უჩვენებენ, რომ ზოგიერთი ფილმის დასაწყისიდანვე წამოსულა შინ.

„დღეს საჭიროა ვინმეს დაველაპარაკო. აუცილებლად უნდა დაველაპარაკო ვინმეს. მაგრამ ვის? სად არიან ახლა ჩემი „ბებრები“?

„ბებრებს“ ის თავის თანატოლებს ეძახდა, რომლებსაც წელს ოცდაათი წელი უსრულდებათ. „ბებრები“ სადღაც გაქრნენ. მათ იცოდნენ, რომ რევაზს გადაუდებელი სამუშაო ჰქონდა და არ აწუხებდნენ. რევაზმა იგრძნო, როგორ შემოხრჩობოდა ოთახში სიმარტოვე. იგი ჩუმად, რბილი ნაბიჯებით მიუახლოვდა და შემოეხვია: რევაზი გაიტრუნა, სითბო იგრძნო, თვალები დახუჭა. წამოსასხამი ნაზად შემოეხვია მხრებზე, მუხლებზე და ფეხქვეშაც გაეგო. ჩასთვლიმა...

როცა ზურგიდან გამოერკვა, ხელში გადაშლილი უბის წიგნაკი ეჭირა და უაზროდ დაშტერებოდა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ვიღაცისთვის უნდოდა დაერეკა. მაგრამ ვისთვის? ვერაფრით ვერ მოიგონა — სად უნდა დაერეკა. თუმცა მანანას სახელი და ტელეფონის ნომერი თავში უტრიალებდა. რევაზს უყვარდა მანანასთან საუბარი, მაგრამ იშვიათად ურეკავდა. მანანა ძალზე კოხტა გოგო იყო და რევაზს არ უნდოდა ქალს თაყვანისმცემელთა სიაში ჩაეწერა. ისე რომ არ იყოს, მანანა ყოველთვის ისეთ რამეს ეუბნებოდა გასაოცრად თბილი ხმით, რომ გუნებას უცვლიდა, რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო. მანანა ჭკვიანი გოგო იყო. მან ლამაზი ლაპარაკი იცოდა. რევაზი გულახდილად ვერც ელაპარაკებოდა, ვერ ბედავდა, თუმცა კარგად ესმოდა გაბედული საუბრისა და ნაბიჯის მნიშვნელობა.

„არა, რასაკვირველია. ამას არ დავურეკავ“. — გაიფიქრა რევაზმა და საჩვენებელი თითით მანანას ნომერი აკრიფა. რამდენიმე გრძელ ზუმერს დამშვიდებით მოუსმინა, მერე გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო და ის-ის იყო ყურმილის დადება განიზრახა, რომ ნაცნობი ნაზი ხმა მოესმა.

— ალო.
— მანანა ხარ?
— კი, რევაზ.
— მიცანი?
— კი, რევაზ. — რევაზს მოეჩვენა თითქოს მანანა განგებ ულაპარაკებოდა უდარდელად.
— როგორა ხარ?
— რატომ დარეკე?
— მინდოდა გამეგო, როგორა ხარ...
— რატომ დარეკე?

რევაზი გაჩერდა. არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. გაბრაზდა და ძალიან მოუნდა ყურმილი დაეკიდა.

— საქმე არა მქონდა და... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მანანამ გააწყვეტინა.

— საქმე როგორ გამოგელევა შენ, მოწინავე ახალგაზრდა მეცნიერს. — სიტყვები „შენ“ და „ახალგაზრდა“ მანანამ ხაზგასმით წარმოთქვა, — გინდა მე გეტყვი რატომ დარეკე! გინდა რომ ვინმეს ელაპარაკო. აღარ შეგიძლია მარტოობა, ნერვები არ გიძლებს გაუძლო მარტოობას. ალბათ, დღეს ბევრი იმუშავე, ახლა კი გინდა ვინმეს ელაპარაკო, აუხსნა, გააგებინო, რაც გააკეთე. ჩუმად ჯდომა კი არ შეგიძლია. და აი, გამოსავალიც იპოვე. კიდევ კარგი, რომ შინ დამხვდი, არა? მაგრამ გუნება უნდა გაგიფუჭო: ახლა მე არა მცალია შენთან ჭკვიანური საუბრისთვის, საქმეები მაქვს.

რევაზს მოეჩვენა რომ ქალის ხმა კანკალებდა, მაგრამ სანამ ამაში გაერკვეოდა, მანანამ ყურმილი დაკიდა. რევაზი ცოტა ხანს კიდევ იჯდა ყურმილით ხელში. მერე შეეშინდა, რადგან ყველაფერი, რაც ამ ლამაზმა „კუდიანმა“ უთხრა, — სიმართლე იყო. მერე გაბრაზდა, ისე გაბრაზდა, რომ ყურმილი დაახეთქა, თითქოს ამ „მაჯლაჯუნა“ შავ ტელეფონს ბრალი ყოფილიყო ყველაფერი; თითქოს ეს ცივი ყურმილი იყო ერთადერთი ძაფი, რომელიც ადამიანებთან აერთებდა და ისიც გაწყდა. მერე კი თავის თავზე გაბრაზდა, რადგან არ ელოდა ასეთ რამეს. წამოდგა, ჰალსტუხი მოიგლიჯა, პერანგის საყელო შეიხსნა და საწოლზე დაემხო. დიდხანს იწვა უძრავად. არაფერზე არ ფიქრობდა და დაძაბული, მთელი გულისყურით ისმენდა საათის ხმაურს. გაყინულ სიჩუმეს ერთფეროვნად წერტილში ხვრეტდნენ პაწაწინა ისრების გაფრენილი წამები.

ამ სიჩუმეში ისე სახარლად გაისმა ტელეფონის ხმა, რომ რევაზს ელდა ეცა. წამოხტა. ტელეფონს თავზე დაადგა და უცადა, ვიდრე დაწყნარდებოდა. ტელეფონი კი წკრიალებდა და წკრიალებდა.

— ბატონო! — გასცა ხმა რევაზმა.
— რევაზი ხარ?
— დიახ! გაოცებით თქვა რევაზმა.
— მე მაია ვარ!
— გისმენთ!
— რას მისმენ, რევაზ, არ გრცხვენია? უკვე ოცდაათი წუთია რაც გიცდი; თუ აღარ კი გახსოვს გუშინწინ ბანკეტზე პაემანი...
— მაიკო!! მაპატიე. შენი ჭირიმე. ისეთი საქმე მქონდა რომ... — იცრუა რევაზმა, — მოვდივარ!.. — თითქმის იყვირა.

როგორ ჩაიცვა, რა ჩაიცვა — აღარც კი ახსოვს! ქუჩაში გამოვარდა. საყვავილეში ხუთი მიხაკი იყიდა. მეყვავილემ გამჭვირვალე ქაღალდში შეახვია წითელი ყვავილები. რევაზმა ძლივს მიუსწრო ახლადდაძრულ ტროლეიბუსს.

გოგონა არტკინის ძლიერი სხივებით განათებულ ვიტრინის წინ იდგა. იგი არც ყველაზე ლამაზი იყო და არც ყველაზე კოხტა, მაგრამ გამვლელები თვალს ვერ აშორებდნენ. გოგონა ბედნიერი იყო. ამას ყველა გრძნობდა.

ვიტრინაში კი სასაცილოდ გამოძერწილი მანეკენები იდგნენ და უაზროდ იღიმებოდნენ.

გიორგი წერეთელი

მაღაროს პეიზაჟები

მთების სარდალი

როგორც ლომის ხმა გაალვიძებს ნაღვლიან ხევებს,
ისე დაზვერილ მთის ფილტვებში ნაღმი აჰყეფს...
თვალს აბრიალებს ხანგრევებში ნაბუღრავებში:
ექსკავატორი, სკრეპერები და კომბაინი.
ტყვიამფრქვევივით ხმაურობენ საბურღავები,
იცლება და ილეწება ქვა ხორბალივით.
„ცა“ — მთის ფსკერია, — „დღე და ღამე“ — შუქი და ბინდი
უბნები მთებქვეშ. მიწისქვეშა ქალაქებს გვანან,
როგორც სარდალი, უბნის გამგე გვირაბში მიდის
და საპატიო ყარაულში ბიჭები დგანან.

მაღაროელის ვენახი

ხან მაღაროში შეხვდები,
ხანაც — ვაზებთან ქედწახრილს,
ქვემოთ რომ ბიჯას დააქნევს,
ზემოდან ვაზი ეძახის —
ვენახ ქვეშაა მაღარო,
მაღაროს თავზე — ვენახი.

იქ გამოიღო მადანი,
აქ ვაზი აალოლვინა,
შავად შეზილულ მთის კალთას
ცისფერი შუქი მოხვენა, —
ვაზების ფერუმარილი
შაბიამანი უფენია.

ვაზი შვილივით გაზარდა, —
მუშას ზვარი აქვს გულხური, —
მაღაროს თავზე შრიალა
ვაზებს ჩაუბამთ ფერხული.

სიცოცხლისა და სიყვარულის საგალობელი

იორამ ქემერტელიძემ თავისი ლექსების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ადრე გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში და მაშინვე მკითხველი საზოგადოების ნდობა და ყურადღება დაიმსახურა.

წინამდებარე კრებული ამ ნდობის ერთგვარი გამართლებაა. მასში შესული ლექსების უმრავლესობა ახალია. თითოეულ მათგანს პოეტის ნათელი თვალისა და კეთილი გულის კვალი ატყვია. ისინი მკითხველის ყურადღებას ხან მშვიდი, ინტიმური ტონით იპყრობენ, ხან კი — მღელვარე, ემოციურად ტევადი სტრიქონებით.

ლექსიდან ლექსამდე მიგვყვება როდიღაც იდუმალი, კეთილი ხმა, რომელიც დიდი რწმენითა და იმედით გინათებს სულს. ლექსებში მოთხრობილი ამბავი იმდენად ნაცნობი და ახლობელია, რომ ავტორის უმცირეს დეტალებშიც კი ვერ შეედავები. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები ხომ მხოლოდ მაშინ იმსახურებს ყურადღებას, როდესაც მისი განწყობილება მკითხველსაც ედება.

სურათოვნებით დასამახსოვრებელია ლექსი „ქვები და ბალახები“. მას ღრმა წრფელი ელეგიური დაჰკრავს, თითქოს აკვარელის საღებავებით არის შესრულებული და ახალგაზრდა კაცის ცხოვრების ერთ-ერთ უნაზეს ეპიზოდს გვაცნობს.

წინაპართა გმირული სახეები, საქართველოს უძველეს მხარეთა გახსენება პოეტს აღუძრავს ამაღლებულის ასოციაციებს. თემატურ ცვლასთან ერთად იცვლება ლექსის მეტრი, გამოხატვის საშუალებები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

და ყოველივე ეს პოეტის თვალში თითქოს განივთდება და ახლა ხელშესახებ და სალოლიავო ვენახებად, ხეებად და მშობელი მიწის წვიმით დაბანილ ბილიკებად ქცეულა:

შენ ჩემო მიწავ, მიწავ მაღალო,
მიწავ [illegible], მიწავ [illegible],
მიწავ, ბალახად ამონაყარო
და მერე გულზე გადანაყარო.
ხუთი მიწაო, ვენახის ძირში
ფუშვენით და სუნთქვით გაფუებულო,
და ჩემი მოდგმის და ჩემი ჯიშის
მზით გაჯიღლო და გახურებულო.

აი ასეთი თვალით შეჰყურებს პოეტი სამშობლოს, ასე განიცდის მის ნაირსახეობას, მისი მიწისა და ცის მომხიბვლელობას, მაგრამ ამის განცდის უნართან ერთად პოეტს შეუძლია ყოველივე ეს წარმოსახოს და პოეტურ სახედ აქციოს, ამით შექმნას საყვარელი მამულის საგალობელი. ეს თემა ნაწილობრივ გრძელდება „ტყის სიმფონიაში“. ეს მეტრონომული ლექსი მარადიულობის, მარადმშვენიერების და, შეიძლება ითქვას, სამყაროს ტკბობის საგალობელივით გაისმის. სწორედ აქედან წარმოიშვა ალბათ წიგნის დასახელებაც „მზე ფოთლებში“, რომლის უკანასკნელ ფურცელს სიამით ხურავს მკითხველი და გრძნობს, რომ ჩვენს ლიტერატურას იორამ ქემერტელიძის სახით კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორი შეემატა.

გივი მიმინაძე

ი. ქემერტელიძე. „მზე ფოთლებში“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1965 წ.

ИОАНЕ ჭიმჭიმელის ვინაობისათვის

ძველი ქართველი მწერლები ხშირად იხსენიებენ კლასიკური ხანის ცნობილ ღვთისმეტყველსა და მთარგმნელს იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური, საისტორიო და ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში.

თამარის ისტორიკოსი „ისტორიათა და აზმათა" შესავალში გვაწვდის ცნობას, რომ ჭიმჭიმელმა დაწერა „შესხმა-მოთხრობა" (ანუ საქებო და საისტორიო თხზულება), რომელშიც შექებული ყოფილა დავით აღმაშენებელისა (1089-1125) და მისი შვილის დემეტრეს „ღვაწლნი, სიმხნენი და გვართა ცხოვრება" (ქც., II, 1959, გვ. 3).

მეორე ცნობა დაცულია „ისტორიათა და აზმათა" ბოლოსიტყვაში (გვ. 113-114). ჭიმჭიმელს შეუთხზავს დავით აღმაშენებლის სადიდებლად ერთსტროფიანი ლექსი:

თუ თალი მილისეულმან
სფერო შესხა შამხისი,
მან ისტრულაბსა დასცა და
მიდგნა დაუცა ჟამხისი,
დავით თქვა, — ზესთა განდიდნეს,
მით ხრმალი ხორცსა სჭამს მისი,
აქილევსისებრ ძალითა
მპყრობელად ელადს ხამს ისი.

ამ ლექსში დაპირისპირებულია ფილოსოფოსი და მეფე. სახელდობრ — თალი მილისეული და დავითი: თუ თალესმა მზის სფეროს სიდიდე განსაზღვრა და ასტროლაბზე ჟამისდის მინუტი უჩვენა, დავითი უზენაესად განდიდდა იმით, რომ მისი ხმალი მტერს მუსრს ავლებს და (ამიტომ) მას შეშვენის აქილევსისებრი ძალით ელადის მპყრობელი იყოს. ჭიმჭიმელისთვის ცნობილი ყოფილა თალესის ის ასტრონომიული აღმოჩენა, რომელსაც მოგვითხრობს რომაელი მწერალი აპულეი (ფლორიდები, XVIII). ლექსის ავტორი ნაზიარებია ბერძნულ მითოლოგიასა და ბიბლიურ წიგნებშიც. აქილევსის ხსენება გვაგონებს ჰომეროსის ეპოსს, ხოლო გამოთქმა „მით ხრმალი ხორცსა სჭამს მისი" გამოძახილია მოსეს გალობისა: „დავათვრენ ისარნი ჩემნი სისხლითა და ხრმალი ჩემი ჭამდეს ხორცსა" (II შჯ. 32, 42).

ჭიმჭიმელს ბევრი უშრომია ქართული ეგზეგეტიკური ლიტერატურის გასამდიდრებლად. კ. კეკელიძის მოსაზრებით, მას უთარგმნია მიტროფანეს „თარგმანება ეკლესიასტისა" და ოლიმპიოდორეს ამავე ხასიათის ნაშრომი.

მასვე „ელლინთა ხმისაგან (ბერძნული ენიდან) სპარსთ მოსახლედ ხმად (ქართულ ენაზე) გარდმოუღია" შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგის თეოფილაქტე ბულგარელის (გარდ. 1107 წ.) „თარგმანება სახარებათა" ოთხივე წიგნი). ჟამთა სვლას გადარჩენია მარკოზის, ლუკას და იოანეს თავთა განმარტებაში, მათეს სახარების თარგმანება კი დაკარგულია. შრომა ტექსტუალურად აგებულია ამგვარად: მოყვანილია თითოეული რომელიმე მუხლი ან ეპიზოდი და თეოფილაქტე მათგანს მისდევს შესატყვისი განმარტება. თეოფილაქტეს იგი დაუწერია ბიზანტიის დედოფლის მარიამის (მართა ბაგრატ IV-ის ასულის) დავალებით (კ. კრუმბახერი, ბიზანტიის ლიტ. ისტ., I, გვ. 133). ამის შესახებ შემონახულია ცნობა ქართულ თარგმანშიც: „თეოფილაქტე წმიდისა მთავარეპისკოპოზისა ბულგარიისა განმარტება იოანესი თავისა წმიდისა ქრისტეს სახარებისა, ნამუშაკევი მისი ბრძანებისაებრ მარიამის სახსენებელისა დედოფლისა ღუთი მარიამისა" (A 52, ფ. 1).

„სახარებათა განმარტების" ქართული თარგმანი ბერძნულთან მიმართების თვალსაზრისით შეუსწავლელია. კ. კეკელიძემ გამოარკვია (პრომეთე, 1918, № 1, გვ. 62-70), რომ ამ თარგმანით ჭიმჭიმელი მოგვევლინა ოთხთავის ახალი რედაქციის ავტორად. საქმე ისაა, რომ კლასიკურ ხანაში ოთხთავის კანონიკურ ტექსტად მიღებული იყო გიორგი მთაწმინდელის თარგმანი. ჭიმჭიმელს თეოფილაქტეს „განმარტებათა" თარგმნისას განსამარტავ ტექსტად უნდა ეცნო სწორედ ეს თარგმანი და ბერძნულიდან ქართულად მხოლოდ კომენტარები ეთარგმნა. მთარგმნელს უარუყვია ასეთი გზა. მას კომენტარებთან ერთად სახარებაც უთარგმნია. თუ ამ თარგმანიდან თანმიმდევრობით ამოვკრებთ ცალკეულ მუხლებს და შევაერთებთ, აღვადგენთ მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა ახალ, ორიგინალურ თარგმანს, რომელიც წინა თარგმანებისაგან განსხვავდება რედაქციულად.

დასასრულ, ჭიმჭიმელს სახელს ამშვენებს ის ფაქტიც, რომ ეს ფილოსოფოსი გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეებთან ერთად დაუხატავთ იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის კედელზე, ჩანს, ის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი ქტიტორთაგანი ყოფილა.

კითხვა იბადება: ვინ არის და როდის მოღვაწეობდა ჭიმჭიმელი?

მეცნიერებს ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ მოეპოვებათ, მხოლოდ ჰიპოთეზურ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ნ. მარი (იოანე პეტრიწი..., 1909, გვ. 4), მ. ჯანაშვილი (ქართ. მწერ., 1909, II, გვ. V-XVI), ს. გორგაძე (ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, 1914, გვ. VII-XV), კ. კეკელიძე (პრომეთე, 1918, № 1, გვ. 62-70) იზიარებდნენ ტრადიციულ მოსაზრებას, რომ ჭიმჭიმელი არის პეტრიწი.

1916 წელს ი. ჯავახიშვილმა გააკეთა შენიშვნა: „აზმათა" ტექსტს „დართული აქვს არსენის, იოანე ჭიმჭიმელისა და დავითის მიერ თამარ მეფის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვების ნიმუშებით" (ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 234). 1920 წელს ეს შენიშვნა კ. კეკელიძემ ძირითად არგუმენტად სცნო ჭიმჭიმელის ცხოვრების დროის განსასაზღვრავად: რაკი ჭიმჭიმელს თამარის დაკრძალვაზე (1213 წ.) სიტყვა წარმოუთქვამს, ცხადია, ის გიორგი III-ისა (1156-1184) და თამარ მეფის (1184-1213) თანამედროვე მოღვაწეა და ამიტომ არ შეიძლება იყოს ის იოანე პეტრიწი. ჭიმჭიმელი და პეტრიწი ორი სხვადასხვა პირია, სხვადასხვა ეპოქის მოღვაწე. (თარგმანება ეკლესიასტისა, გვ. LXI; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1923, გვ. 323-324; 1941, გვ. 292-293).

თ. ჟორდანია (ქრონიკები, I, გვ. 302) და პ. ინგოროყვა (თხზ., I, გვ. 820) ფიქრობენ, რომ ჭიმჭიმელი დემეტრე მეფის თანამედროვეა.

1950 წელს ამ სტრიქონების ავტორმა გამოარკვია, რომ „აზმათა" ბოლოს დართული ტექსტი („არსენი იტყვის იყავ ხელი... იოანე იტყვის ჭიმჭიმელი"...) შეიცავს არსენ იყალთოელის იამბიკოს „მეფე მთავარი" და ჭიმჭიმელის ლექსს „თუ თალი მილისეულმან" (იხ. ზემოთ), რომელთა საერთო არა აქვთ რა თამარის გარდაცვალების თხრობასთან (ლიტ. და ხელოვნება, 1950, № 35). ამ ფაქტმა ეჭვის ქვეშ დააყენა კ. კეკელიძის მოსაზრება, მაგრამ მკვლევარმა იგი მაინც ძალაში დატოვა, ჩვენი მისამართით კი აღნიშნა: „ჰიპოთეზური მოსაზრებით ძველის პირდაპირი ჩვენების უარყოფა მართებული არაა" (ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 296-297). **„აზმათა" ავტორი არსად არ ამბობს, რომ ჭიმჭიმელმა თამარ მეფის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა. „აზმანი" არ გამოდგება ჭიმჭიმელის ვინაობისა და ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიის დასადგენად.** საამისოდ საჭიროა სხვა წყაროებისა და წინამძღვრების მოშველიება.

აი ეს სხვა წყაროები და წინამძღვრებიც:

1. XVIII-XIX საუკუნეების მწერლები — ანტონ ბაგრატიონი (წყობილსიტყვაობა, 1853, გვ. 253), გერმანე მონაზონი (ძველი საქართველო, 1909, II, გვ. 40), დავით რექტორი (A 1427), იოანე ბაგრატიონი (კალმასობა, II, 1948, გვ. 174), ანონიმი გადამწერი (S 130, ფ. 1) და თეიმურაზ ბაგრატიონი (ისტორია ივერიისა, 1848, გვ. 295) ერთხმად იუწყებიან, რომ იოანე ფილოსოფოსი ჭიმჭიმელი და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი ერთი და იგივე პირია.

2. ხელნაწერებში გვხვდება გამოთქმები: იოანე ფილოსოფოსი, იოანე პლატონური ფილოსოფოსი, იოანე ფილოსოფოსი ჭიმჭიმელი, იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი, იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი-ჭიმჭიმელი. ამ გამოთქმებში **„ფილოსოფოსი" იოანესთვის ისეთივე ზედწოდებაა, როგორც დავითისთვის — „აღმაშენებელი", დიმიტრისთვის — „თავდადებული" და გიორგისთვის „ბრწყინვალე".** როდესაც ძველი ქართველი იტყოდა „იოანე ფილოსოფოსი", ის ამ სახელში გულისხმობდა მხოლოდ პეტრიწს.

3. როგორც ითქვა, ჭიმჭიმელს უთარგმნია ოთხთავის კანონიკური თარგმანი, ენობრივ-სტილისტურად შეასწორა და მოგვცა ახალი რედაქცია. ამით ის დაუპირისპირდა ქართული მწერლობისა და ეკლესიის გოლიათს — გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურაში. გიორგი იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო, რომ მასთან შეჭიდება ან მისი კანონიკურად აღიარებული თარგმანის დაწუნება შეიძლება ორთოდოქსალურ ეკლესიას მწვალებლობად მიეჩნია და მოწუნარი სამწერლო ასპარეზიდან გაედევნა. ეს ფაქტი განსაკუთრებითაა საყურადღებო ჭიმჭიმელის ვინაობის გამოსარკვევად, ვინაიდან, **ერთადერთი კაცი, რომელიც XI-XII საუკუნეში საღმრთო წერილთა მთარგმნელებს შეერკინა, იყო პეტრიწი. მან დაიწუნა ოთხთავის მთაწმიდელისეული თარგმანი და თვით მთარგმნელი მკაცრად გააკრიტიკა სახელის მოუხსენებლად.**

პროკლე დიადოხოსის „კავშირთა" კომენტარების ბოლოსიტყვაში (გვ. 218) პეტრიწი წერს: ჩვენში „განმმარტებელნი" (მთარგმნელები). მათგან ზოგნი უვიცნი არიან „უმეცარ იყვნეს" და ზოგთაც „გარემოხვევითა დიდებითისა თხებისათა, წოდებისა სახმილი უსწავლელობისაი". ქართველთა შორის არავინ გამოჩნდა მათი „მემხილე" (მამხილებელი), რომელიც აგრძნობინებდა მათ სიტყვის ძოწმედებასა და ძალას. ეს ყველაზე კარგად „სახარებათა შინა განცხადებ-ს და სამოციქულოთა". იოანეს თავის დასაწყისი უნდა ითარგმნოს ასე: **„დასაბამსა შორის იყო სიტყუა"**, მთარგმნელებს სწორად მიაჩნიათ **„პირველითგან იყო სიტყუა"**, მაგრამ არ იციან, რომ „პირველი შემდგომთა არს პირველი", არა თუ „უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებათა", როგორც „ითქმის კაცი კაცისა პირველად და ცხენი ცხენისა, არაის თუ წინაუკმო თუმცა კაცი ცხენსა და ცხენი კაცი".

აქ პეტრიწი ეკამათება გიორგი მთაწმიდელს. ეს უკანასკნელი მას მოქცეული ჰყავს მთარგმნელთა იმ კატეგორიაში, რომელთაც განდიდების ჰბაყოფილებით ჩაუქრათ ცეცხლი სწავლულობისა (დაეკარგათ სწავლის შეძენის სურვილი). ეს იქიდან ჩანს, რომ გიორგის მიერ თარგმნილი სახარება თავისი იწყება იმ ფრაზით („პირველითგან იყო სიტყუა"), რომელსაც იწუნებს და აკრიტიკებს პეტრიწი. გადავშალოთ ჭიმჭიმელის თარგმნილი „იოანეს სახარების განმარტება" (A 52) და პირველ ფურცელზევე ამოვიკითხავთ წითლად დაწერილ განსამარტავ ტექსტს — **„შორის დასაბამსა იყო სიტყუა"**. ეს ფაქტი იმის მაუწყებელია, რომ გიორგის შემდეგ ოთხთავის ახალი რედაქცია შეუქმნია პეტრიწს (იგივე ჭიმჭიმელს).

ეს დასტურდება დოკუმენტურადაც: ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში აღმოჩნდა თეოფილაქტეს თხზულების („იოანეს თავის განმარტების") ფრაგმენტი (№ 1090 დ), რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით განეკუთვნება XI საუკუნეს. (ქრ. შარაშიძე, ხელნაწერთა აღწერილობა, IV, გვ. 55-56).

4. იოანეს სახარების თარგმანი ანონიმურია. კ. კეკელიძე მას არ აკუთვნებს ჭიმჭიმელს. ამიტომ შეიძლება ვინმემ ჩვენი დებულება საეჭვოდ გახადოს. შევამოწმოთ ციტატები მარკოზისა და ლუკას თავთაგანიც. როგორც წინა წერილში გავარკვიეთ („ლიტერატურული საქართველო", 1965, № 1), პეტრიწს უთარგმნია პროზად იოანე სინელის „კლემაქსი" (A 39), რომელიც შეცდომით პეტრე გელათელს მიეწერებოდა. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარგმანი პეტრიწის შრომათა შორის. მასში მარკოზისა და ლუკას სახარებათაგან დამოწმებული ციტატები განსხვავდება გიორგი მთაწმიდელის თარგმანისაგან და სიტყვასიტყვით ემთხვევა ჭიმჭიმელის ზემოთგანხილულ რეცენზიას. აი რამდენიმე ნიმუში:

გიორგი მთაწმინდელი: „აცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა" (ლ. 9,60). „არავის **მონანა ხელეწიფების** ორთა უფალთა მონებად" (ლ. 16,13), **„რომელსა ასხენ ყურნი** სმენად, ისმინენ" (მარკ 4.9; ლ. 14,35). **„ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი,** იგი დამდაბლდეს" (ლ. 14, 11; 18, 14).

იოანე პეტრიწი (A 39): „**უტევენ** მკვდარნი"... (ფ. 16). „ვერვის **ძალუც**" (ფ. 21). **„მქონებელსა ყურთასა** სმენით ესმოდენ" (ფ. 145) და **„ამაღლებული თავისა თვისისა** დამდაბლდეს" (ფ. 120).

იოანე ჭიმჭიმელი (A 102, 113): **„უტევენ** მკვდარნი"... „არავის **ძალუც**"..., **„მქონებელნი ყურთასა** სმენად ესმოდედ", **„ყოველი ამაღლებული თავისა დამდაბლდეს"**.

მაშასადამე, პეტრიწს წინ უდევს საკუთარი თარგმანი და ოთხთავის ციტატებს თავის შრომებში მის მიხედვით იმოწმებს. ეს თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია ჭიმჭიმელის სახელით.

5. „ჭიმჭიმელი", საბას განმარტებით, „ესე არს არაის ცა მეხუთე"; ეწოდება პატიოსან თვალსაც: „ვითხოვ შენგან თვალსა პატიოსანსა, მეორედ — ჭიმჭიმელსა, მესამედ „კიმკიმელსა" (A 153, გვ. 293; შდრ. საბა: „მომეც თვალი ჭიმჭიმელი და კიმკიმელი"). ნ. მარით, „ჭიმჭიმელი ნიშნავს ზეციერს" (გვ. 4). ამას იზიარებს ს. გორგაძე (გვ. VIII), გამოდის, რომ იოანეს ჰრქმევია „ზეციერი" (შდრ.: ზღაპრის პერსონაჟი — ივანე ცისკარი). თვით სიტყვა ნაწარმოებია გაორკეცებული ფუძიდან — „ჭიმჭიმ" (შდრ.: „კიმკიმ, ცამ-ცამ) და შეიძლება [illegible] დაკავშირებული იყოს ზმნასთან „ჭვრეტა". თვით სიტყვის ეტიმოლოგია აუხსნელია. სამაგიეროდ, გარკვეულია, რომ „ჭიმჭიმ-ელ-ი" სადაურობის აღმნიშვნელი სახელია, რომელიც დაკავშირებულია გეოგრაფიულ სახელთან „ჭიმჭიმი" (ანუ „ჭიმჭიმა").

გერმანე მონაზონის ცნობით, იოანე [illegible] ჭიმჭიმელი [illegible] სამშობლოდ მიიჩნევს. შემთხვევითი არ არის, ჭიმჭიმელები მართლაც ცხოვრობდნენ სამცხეში. 1949 წელს ე. თაყაიშვილმა პირად საუბარში გადმომცა, რომ: „დაბა-სოფელი ჭიმჭიმი მდებარეობს ტაოში, იმხნის სამეხოთაროში (სამამასახლისოში). იქ ორას კომლამდე მაცხოვრებელია. ყველა ქართულად ლაპარაკობს. თავიანთ თავს ჭიმჭიმელებს უწოდებენ. უწინ ეს სოფელი საეროსთავო ყოფილა". ამ მნიშვნელოვან ცნობას ამტკიცებს ზედა-თმოგვის ეკლესიის ერთი წარწერა, რომელიც დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. აქ ვკითხულობთ: „ქრისტე შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისა — **იოვანეს ძისა ჭიმჭიმელისა**" (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 206-207; რ. გვერდწითელი, ზედა-თმოგვის ეკლესიის წარწერები, მუზეუმის მოამბე, XIV-B 1947, გვ. 241-242). აქ მოხსენებული ფარსმან იოანეს ძე ჭიმჭიმელი უნდა იყოს XI საუკუნის ფეოდალი ფარსმან თმოგველი, რომელიც ბაგრატ მეოთხეს (1027-1072) განუდგა ლიპარიტ ორბელიანის წინააღმდეგ ბრძოლებში 1044-1045 წლებში (ქც., I, 1955, გვ. 295; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 425). ეს თმოგველი მოხსენებულია ათონის ივერიის მონასტრის აღაპებშიც: „თვესა ივლისსა 8, წმიდისა პროკოპისი დღესა დგანაწესებია ფარსმან თმოგველისადა. ყოველთა მონაზონთა იღვაწეს, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნა ჩვენ ზედა წინაშე ბაგრატ იფხაზთა მეფისა" (გვ. 238-239).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვასკვნით:

იოანე ჭიმჭიმელი არ არის თამარის ეპოქის მოღვაწე. იგი იოანე პეტრიწია, XI-XII საუკუნის დიდი მოაზროვნე და მწერალი. „ჭიმჭიმელი" მისი გვარია, „პეტრიწი" — ზედწოდება. ამიერიდან ჭიმჭიმელის სახელით ცნობილი შრომები განხილულ უნდა იქნეს პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მემკვიდრეობასთან ერთად.

ივანე ლოლაშვილი

გაგრა. პანსიონატი „საქართველო". ფოტო ს. კილაძისა.

„ცხენოსნური"

მამაჩემს ერთ დროს სულს და გულს ერჩია ძველი ქართული სიმღერა „ცხენოსნური". გადააწვებოდა ოქროსფერ ულავს, უკან მე შემისვამდა, მარა-მარა გაათოხარიკებდა და დაბოხებულ ხმაზე წაიღიღინებდა: „ჩემი ცხენი თოხარიკი, ქალს არ იჯერს ულამაზოს". არ ვიცი, ამ სიმღერის ბრალი იყო, თუ ცოტათი ჩემი სიზარმაცისაც, სწავლაზე რომ ხელი აეიღე და მალე მეცხოველეობის ფერმაში ამოვყავი თავი.

ცხოვრება წინ წავიდა. თოხარიკი ცხენები მანქანებმა შეცვალა. თხისა და ძროხის მწყემსებსაც ჯიბე გაუსქელდათ და „ვოლგებში" გადაიჯდნენ.

მამაჩემმაც თავი მიანება თოხარიკ ცხენს და „ცხენოსნურიც" გადაავიწყდა. ხანდახან თუ მოაგონდებოდა სიმთვრალეში. გაჯავრებულს მანქანის სახელსაც ვერ გააგონებდით.

ფერმაში მუშაობამ გამიმართლა. დაუზარებელი და ხელგაშლილი ვიყავი. სტუმარსაც და მახარობელსაც ჭუნტი სულგუნებით ვუმასპინძლდებოდი. პრემიალმა მალე გასჭრა და ფერმის გამგედაც დამაწინაურეს. კარგი მეცხოველის სახელს კარგი მანქანაც დამშვენდებოდა და გულში სულ იმაზე ვფიქრობდი, მეც ხომ ისეთი ადამიანი ვარ, როგორიც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ფაბრიკის დირექტორი, ბუღალტერი ან ინჟინერი. ანდა სხვა ფერმის გამგეები... თავმჯდომარე დღეში ათჯერ მაინც გამოიძახებს თავის კაბინეტში. რამდენი ხბო დაიბადა, რამდენი ლიტრა რძე ჩამოწველით, თვიურ გეგმას რამდენით გადააჭარბეთ, რამდენი კილოგრამი ყველი ჩამოგრჩათ. სტუმრები გვეწვევიან და ჭუნტი სულგუნები მოგვიტანეთ.

ფერმა სოფლის ბოლოშია და ზევით-ქვევით სირბილმა ფეხები დამიღრძნა.

ფერმის გამგეთ „კოჩიანიათ", კარგ საჩუქრებს მოვიტანდი და [illegible] უცნობებიც კი მესალმებოდნენ. მანქანის დაქირავებამ ზურგზე ტყავი გამაძრო. საჩუქრებს რომ თავი დავანებოთ, ერთი მანქანა ცხოვრებას შემიმსუბუქებს მეთქი.

მამაჩემისთვის არ გამიმხელია, ისე ლუკაგროვე თანხა და წლის ბოლოს ანგარიშზე „ვოლგას" ვერ შევწვდი, მაგრამ დაბზრეკილი „მოსკვიჩი" მაინც შემოვაგორე ეზოში.

მამაჩემმა განარისხებული წარბით მიაშტერა „მოსკვიჩს". „აგი კისრის სატეხელა რა გიყიდია". მაგრამ [illegible] დააყარა.

მანქანა ჯორივით ჯიუტი გამოდგა. ორიოდე კილომეტრს გაივლიდა თუ არა, „ჩაშუკდებოდა" შინოვრემისაკენ მიდიოდა და, ქვა რომ გერტყა, ადგილიდან აღარ დაიძროდა. მანამდე იდგა, სანამ მამაჩემი, ჩემი გულის გასახეთქად, არ აჭიკჭიკდებოდა: „ჩემი ცხენი თოხარიკი"... მისი ხმის გაგონებაზე ძრავა მაშინვე აგუგუნდებოდა, მაგრამ საჭე გამოუცდელ ხელებში ხან მარცხნივ გამექცეოდა და ხან მარჯვნივ, დღე იყო და ათჯერ მაინც ვკრავდი თავს სიმინდის ყანაში.

მამაჩემი მეუბნება: „რა შენი საქმეა მაგი კისრის სატეხელა, საქონელს მიხედე". ისედაც არ მჭირია იღბალი. მაინც და მაინც ჩემს მანქანის ყიდვას მოჰყვა ლეიონზე კარანტინი. მძღოლებს წვეთი ღვინის ჩაყლუპებას ქლორის დალევა ურჩევნიათ.

ფერმის გამგის ამბავი ყველას მოგეხსენებათ. საჭმელზედაც მაგრად მაქვს პირი მიჩვეული და სასმელზედაც. სადილად კილოგრამიანი სულგუნი, ერთი კვცი მწვადი და ზედ ოთხლიტრიანი „ადესა" არ მყოფნის... აქ კი შეუზნებიან, სმას თავი დაანებეო!..

მანქანის სიყვარულით თუ სიხარულით კისერზე თოკი შემოვიჭირე და რამდენიმე თვე ისე გავიდა, წვეთი არ ჩამცდენია.

ვითმინე... ვითმინე... მაგრამ ბოლოს ვეღარ შევძელი მოთმენა. ვიცოდა წყურვილს მოვუკლავდი და ვიცოდა ავტოინსპექტორს მეფიქრა და ერთ წვიმიან დღეს, ღვინო ვერ გავძელი, მაგრამ ტყემალგადასხმული კალმახით და ლუდით მაგრად მოვიჯერე გული. ხუთი ლიტრა გადავხუხე. ჩვენს ავტოინსპექტორს, როგორც იცნა, გავექეცი და მეზობელ რაიონში ამოვყავი თავი. გამბედავ გულზე საჭეს სულგუნის ლავაშივით შემოვეჭირე ხელი და მანქანას ფრთები შევასხი. მაგრამ ბოლომდე აღარ დამცალდა განავარდება.

ზედ ბაზრის წინ, სადაც ასობით მანქანები ირევა, აზმანი ავტოინსპექტორი მაინცდამაინც მე გადამიდგა წინ. გაქცევა ვცადე, მაგრამ ძრავას სწორედ მაშინ მოუვარა შინოვრემიაში და ხელები ავწიე.

— აბა, პირდაპირ შემომხედე, ბიჭო, რა გუნებაზე ხარ... — გაიღიმა, ოქროს კბილები გამოაჩინა. ფანჯარაში თავი შემოყო და ცხვირი ცხვირთან ისე მომიტანა, თითქოს ლამაზი გოგო ყოფილიყავი. ჩემი ამონასუნთქი ჰაერი მაგრად შეიგრძნო და საჭე კოვზივით უფრო გამაშრა.

— უფროსო, საქონლის ჭირი გაუჩნდა და მთელი ფერმა გვეღუპება. წამლები უნდა მივიტანო, აფთიაქში მიგვიანდება. ერთი წელიწადია წვეთი არ ჩამცდენია... რა დროს გამოფუქდა ეს ოხერი ძრავაც"... — არეულად დავიწყე და ჯიბიდან ვეტექიმის მიერ რამდენიმე წლის უკან დაწერილი გაყვითლებული რეცეპტი ამოვაძვრინე.

— აჰა... ფერმაში მუშაობთ, არა? — ხმა შეიცვალა ავტოინსპექტორმა და ჩემი მანქანის ნომერს დააცქერდა... — ვადაგასულ რაზ მითხარი, რამდენ ლიტრიანი ხარ?

— რის დალევა, უფროსო... ყელ-კისერი ანგინით მაქვს ჩამწყდარი... გრიპმა ქლუქი გამაჩინა...

— აბა შეიცნოსე... ეს ახალი წამალია, გრიპს, ქლუქს და ანგინას ხუთ წუთში არჩენს... ღრმად შეისუნთქე და ამოისუნთქე... — და ცხვირთან პატარა ფლაკონი მომიახლოვა.

სიხარულისაგან ფერი მომივიდა. ყინულივით ცივი ლუდისაგან მართლაც მტკიოდა ყელ-კისერი და ფლაკონზე ხარბად ჩამოვაცვი ჭრელი ცხვირი. მთელი მკერდითაც ჩავუბერე.

უფროსი ხითხით მორცხვი ქალიშვილის თვალებივით აიმღვრა. — თოჰ... მაგრად გაცოდებულხარ... ცოდვა ხარ... ჩაგვივარდი ხელში, ხომ? თქვენი რაიონის მანქანების ჯიბი კი მიუთქვამს გულზე! თქვენმა ავტოინსპექტორმა ჩვენს მძღოლებს ზურგზე ტყავი აახადა, სულ თუმნიანები ამოგლიჯა.

ფულის ხსენებაზე ჯიბეზე ხელი გავიკარი. ხუთმანეთიანზე მეტი აღარ აღმოჩნდა.

— აა... ბატონო... ინებეთ... ოღონდ დროზე გამიშვით... ძროხები გვიწყდება... ტყემალგადასხმული კალმახი ვჭამე და ზედ ცოტა ლუდი დავაყოლე. ქვეყანა ხომ არ დამიქცევია... — გამოვუტყდი დანანებით.

— არა... მაგ ვერ მოგართმევს... მარტო ტყემალიც საკმარისია, რომ ეს ფლაკონი აიმღვრეს... მით უმეტეს ლუდიც დაგიყოლებია. ალკოჰოლია... საბუთები მათხოვეთ და ძალს გამომიზრძანდით. აქ მოვილაპარაკოთ... — უფრო აუცეთ ცემდა მაცდური ღიმილით თვალისფერი თვალები.

მე „მძღოლის მოწმობა" და მანქანის პასპორტი გავუწოდე. ძლივს გადმოვიღე წელი „მოსალაპარაკებლად".

ავტოინსპექტორმა საბუთები გამომგლიჯა, მანქანაში შევარდა და გასაღები აიწაპნა.

ჩემი გულის გასახეთქად ძრავა მაშინვე აგუგუნდა. საჭეც დაემორჩილა. — საქონელი არ გაგიწყდეს... აფთიაქში ფეხით წაბრძანდით. პატარა რეცეპტს გამოგიწერ, თქვენს ავტოინსპექტორს აუცილებლად წაიკითხე. გაზეთშიც გამოგაქვეყნებთ. ალკოჰოლს თუ გადაეჩვევით, ორი წლის შემდეგ შემოიარე მანქანისათვის... — ფანჯარაში თავი გამოყო, ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაც დამიწერა, გადმომიგდო და ჩემი ერთი წლის ნაშრომ-ნაამაგარი მილიციაში გააქროლა.

ლოყებზე თანდათანობით დაბლა-დაბლა ჩამოიღვრეოდა. მალე კოკისპირული წვიმა დასხა. [illegible] სუსხიანი ქარი სახსრებში იჭრებოდა.

დიდხანს ვიდექი წვიმაში შუა შარაზე ბრაზისაგან გამწყრალი. როგორც იქნა გონს მოვედი. დასველებული ქაღალდის ნაგლეჯი ჯიბეში ჩავიდე, და ფართო შარაგზას წელმოთრეული დავადექი.

ეზოს რომ მივუახლოვდი, მამაჩემის ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა. სტუმრები მოსულიყვნენ და ორლიტრიან ყანწებს აწრიალებდნენ.

ყურებჩამოყრილი და წვიმაში ამოლუმპული რომ დამინახა, მშობლის გულმა მაინც იგრძნო ჩემი გულის ლადარი და შორიდან მომაძახა:

— ჯაგებატონო, ფეხადიანით მობრძანდით?! აბა სამჯერ გადაჰკარი ყანწი. სახარიმოა. ამდენხანს რაც დაიკელი, ისიც გეყოფა. შემდეგ კი ამ ძვირფას სტუმრებთან ერთად განაგრძობთ. და რიხიანად წამოიწყო: „ჩემი ცხენი თოხარიკი..."

ყანწი მწუხრიანად ხარივით მოვიყუდე პირზე, სულის მოუთქმელად გამოვცალე და ხმა ავაყოლე: „ქალს არ იჯერს ულამაზოს"...

ყანწში ავტოინსპექტორის დამცინავი ღიმილი მელანდებოდა და ხელში კი მის მიერ გამოწერილი „რეცეპტი" მეჭირა.

ნური ჩხაიძე

მინიატურები

მეგობრები

— გუშინ შენი პიესა ვნახე.

— მერე?

— საინტერესო იყო... არ მინდა გაწყენინო, მაგრამ მაინც გეტყვი, მეორე მოქმედების დროს დარბაზში ხმამაღლა უსტვენდნენ.

— ამ დროს რას აკეთებდა მეორე ნახევარი?

— დამავიწყდა მეთქვა, რომ მეორე ნახევარი ცარიელი იყო!

კერძო საუბარი

თეატრში ორი ქალი განუწყვეტლივ ჩურჩულებდა. მათ უკან მჯდარმა კაცმა ვერ აიტანა ეს ჩურჩული, გადაიხარა მათკენ და ერთ-ერთს ხმადაბლა უთხრა:

— მაპატიეთ, ქალბატონო, არაფერი არ მესმის!

— არც არის საჭირო, ეს ჩვენი კერძო საუბარია.

ალო! გესმით?

— ალო! გესმით? კოოპერატიული მაღაზიაა?

— არა!

— აბა რატომ აიღეთ ყურმილი?

სად არის ალპები?

— მამა, სად არის ალპები? — ჰკითხა ვაჟიშვილმა მამას, რომელიც თვალს ვერ აშორებდა ტელევიზორს.

— დედას ჰკითხე, ის დაალაგებს ყველაფერს ყოველთვის.

გერმანულიდან თარგმნა
ლამარა ხალაძე

ფილმი კარლ ლიბკნეხტზე

ცნობილი რევოლუციონერის გერმანელი ხალხის ნათელი მომავლისათვის მებრძოლის კარლ ლიბკნეხტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემა გერმანიის კინოს მუშაკებს დიდხანს არ აძლევდა მოსვენებას. ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი კინონაწარმოები, რომელიც სრულყოფილად ასახავდა ამ დიდი გერმანელის ცხოვრებასა და რევოლუციურ მუშაობას.

და აი, ამ რამდენიმე ხნის წინათ 6 წლის დაძაბული შრომის შემდეგ, დამთავრდა მუშაობა სცენარზე, რომლის ავტორია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემიის ლაურეატი მიხაილ ჩესნო-ჰელი. ფილმს იღებს რეჟისორი გიუნტერ რაიშე.

ფილმის შექმნაში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის მსახიობები. მაგალითად, გერმანელი ხალხის ბელადის კარლ ლიბკნეხტის როლს ასრულებს ჰორსტ შულცე, საყოველთაოდ ცნობილი „ბერლინერ ანსამბლის" თეატრის მსახიობი, როზა ლუქსემბურგის როლს შეასრულებს პოლონელი მსახიობი ქალი. ფილმში მონაწილეობენ საბჭოთა მსახიობებიც. კარლ ლიბკნეხტის მეუღლის — სოფიო ლიბკნეხტის როლს შეასრულებს ლუდმილა კასიანოვა.

„ამ ფილმით ჩვენ მოვუთხრობთ და ვაჩვენებთ მთელს მსოფლიოს — ამბობს ფილმის რეჟისორი გიუნტერ რაიშე — თუ როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან გერმანიის საუკეთესო შვილები მილიტარიზმის წინააღმდეგ.

„ჩემი ტილოები ჩემს ხალხს დაუბრუნეთ"

ასე სწერდა თავის მეგობრებს სიკვდილის წინ უნიჭიერესი მხატვარი ჟირაირა ორაკიანი, რომელმაც სიცოცხლის დიდი ნაწილი, სამშობლოდან მოწყვეტილმა, იტალიაში გაატარა. უკვე ორი წელია, რაც ჟირაირა ორაკიანი გარდაიცვალა. ამასწინათ სომხეთის სურათების გალერეამ იტალიიდან ჟ. ორაკიანის მეგობრების, ცოლ-ქმარ მიტიკიანებისაგან მხატვრის 620 ტილო მიიღო.

ჟირაირა ორაკიანის ნაწარმოებთა გამოფენა მალე გაიხსნება ერევანში.

მწერალი მკითხველებთან

ქარელის კულტურის სახლში მკითხველები შეხვდნენ მწერალ ლევან გოთუას. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქარელის შრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. გოჩაშვილმა. მწერლის შემოქმედებაზე ილაპარაკეს მკითხველებმა გ. მექოშვილმა, ლ. გამზიშვილმა, ზ. გაბუნიამ, ნ. კახიამ, ნ. ზუბიაშვილმა, თ. კობახიძემ და სხვ.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა და დამსწრეებს თავისი შემოქმედებითი გეგმები გააცნო ლევან გოთუამ.

მეოცნებე ნაძვები. ფოტოეტიუდი ს. მამასახლისისა.

„სახელის უკვდავმყოფელნი"

ბევრჯერ დაწერილა საკუთარი სახელის „უკვდავმყოფელთა" სამხილებლად, მაგრამ... ისინი მაინც განაგრძობენ თავიანთ „მოღვაწეობას", კაწრავენ და აჩხაპნიჭებენ საუკუნოვან კედლებს, ამახინჯებენ მთელი ერის სათაყვანებელ ძეგლებს.

კვლავ გვიხდება აღმაშფოთებელი ფაქტების მოყვანა. მცხეთის სვეტიცხოვლის სამხრეთ ფასადზე დანით ამოწერილია წარწერა „აქ ვიყვენ ობოლიძე, მუმლაძე გოგოებით". VI საუკუნის ძეგლზე — ჯვრის მონასტერზე ასეთი წარწერაა: „აქ იყო ქეტევანი, თავისი ძმაბიჭებით და ლამარათი". აქვეა წარწერა: „ჰანტერია, ჩიქოვანი თბილისიდან" და ბევრი მრავალწერტილები. ეს არის და ეს. იქნებ შემდეგ სურთ მიუთითონ დაბადების წელი, პროფესია, ან რა საქმეს მისდევენ, ან რომელ კინოთეატრში დადიან.

ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო, თქვენს სხვებმა და კედელზე ამოკვეთეს ახალი სახელები: პაიქ კარაპეტიანი, ირაკლი ნადუკიანი, პეტრე მეზურნოვი, გიორგი მოსუროვი, თბილელი და კალმაშელი, ჩვენ ყველანი ვიყავით 1958 წლის 14 ივლისს". მალე ორი წელი შესრულდება ამ წარწერას. ალბათ, ეს ველურები იუბილესაც მოითხოვენ. ისინი სულ ხუთნი იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ორმოცნი რომ ყოფილიყვნენ, რა დაემართებოდა „ჯვრის" კედლებს.

ამავე ძეგლზე ასეთი წარწერაცაა: „კარაპეტიანი, არჩიკაძე, გოგბაიშვილი".

სხვადასხვა წარწერებით არის სავსე გრემის გუმბათოვანი ძეგლის, ბოლნისის სიონის, ატენის სიონის, სამწევრისის, რუისის, სამთავისის, იკორთის, ფიტარეთის ტაძრები, კედლები და ორნამენტები. წარწერებს არც თბილისის ანჩისხატი, სიონი და ლურჯი მონასტრები გადაურჩა.

ზოგიერთ ძეგლს მომვლელის ხელიც აკლია. სიონის ტაძარს გრუნტის წყლები შეეპარა, რის გამოც აქ ფრესკები ზიანდება. სვეტიცხოვლის ეზოში სარეცხს ჰფენენ გასაშრობად, ნოხებს ბერტყავენ. ნუთუ სხვა ადგილი ვერ ნახეს?

წითელწყაროს ძეგლი „ოზაანი" (XII-XIII საუკუნისა) ისეა მოვლილი, რომ გუმბათი ბუჩქებით არის სავსე. მისი კედლები აჭრელებულია წარწერებით. ასეთივე ბედი ეწია „ყინწვისს" (ქარელის რაიონი), „ხუჯაბს" (XII საუკუნის ძეგლი), „წრომს" (VII საუკ. ძეგლი, ხაშურის რაიონი).

რა შეიძლება დაერქვას „უკვდავყოფის" ხსენებულ მაძიებელთა საქციელს? მხოლოდ ერთი რამ: ველურობა, შეურაცხყოფა იმისა, რაც კაცობრიობის ისტორიის ოქროს ფონდში შედის.

შეუბრალებლად უნდა ვებრძოლოთ ამ ველურობას. დავადგინოთ სახელის „უკვდავყოფთა" ვინაობა და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ისინი.

სიმონ ნაციაშვილი

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო"



სიმონ ჩიქოვანი — თხზულებანი. ტომი II. რედაქტორი — გ. ჯავახაძე, მხატვარი — ვლ. ქეთათელაძე. გვ. 316, ფასი 94 კაპ.

სოსო იორამაშვილი — მოთხრობები. რედაქტორი — მ. ლებანიძე, მხატვარი — თ. მირზაშვილი. გვ. 198, ფასი 50 კაპ.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი — ათასერთი ღამე აღმოსავლეთში. შემოკლებული თარგმანი გერმანულიდან და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა. რედაქტორი — ლ. ცოტაძე. გვ. 274, ფასი 44 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

მარკ ტვენი — იუმორისტული მოთხრობები და პამფლეტები. თარგმანი ინგლისურიდან გიორგი დოლიძისა. რედაქტორი — ც. ჩხაიძე, მხატვარი ი. დონდუა. გვ. 242, ფასი 69 კაპ.

სტენდალი — პარმის სავანე. თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა. რედაქტორი — გრ. ჩიქოვანი, მხატვარი — ვ. მელიქიშვილი, გვ. 564, ფასი 1 მან., 65 კაპ.

„ნაკადული"

ო. ლორთქიფანიძე — ფიდიასი. სერიიდან — „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება". რედაქტორი — ა. ბრეგაძე, მხატვარი — დ. დონდუა. გვ. 74, ფასი 24 კაპ.

რ. ჟორდანია, ლ. ფრუიძე — უცხო ფრინველი. რედაქტორი — ლ. ქადაგიშვილი, მხატვარი — ლ. მესხიძე. გვ. 50, ფასი 7 კაპ.

რატომ არ აქვს კაკაბს კუდი — აფრიკის ხალხთა ზღაპრები. თარგმანი რევაზ მალაზონიასი. მხატვარი — გ. მესხიშვილი. გვ. 102, ფასი 32 კაპ.

„განათლება"

უშანგი ობოლაძე — აკაკი და ახალგაზრდობა. რედაქტორი — ე. ბახტაშვილი. გვ. 276, ფასი 51 კაპ.

„მეცნიერება"

ვ. უზნაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. რედაქტორი — ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი — გ. ნადირაძე. გვ. 216, ფასი 64 კაპ.

ძველი ქართული მწერლობის ტექსტის საკითხები (V-XIII სს.) (წერილების კრებული). რედაქტორი — რ. ბარამიძე. გვ. 90, ფასი 35 კაპ.

თ. ყაუხჩიშვილი — ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. რედაქტორი — ალ. გამყრელიძე. გვ. 86, ფასი 35 კაპ.

კოლმეურნეობათა ლიტერატურული პრემიები

ამასწინათ ესტონეთში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა უკვე იცის, დიდი ესტონელი მწერლის ე. ვილდეს სახელობის კოლმეურნეობამ დააწესა ე. ვილდეს სახელობის პრემია ესტონური სოფლის ცხოვრებაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებისათვის, ხოლო ტარტუს რაიონში დაწესდა ესტონური ლიტერატურის კლასიკოსის იუხან ლიივის სახელობის პრემია წლის საუკეთესო ლექსისათვის. ამ დღეებში ვილდეს სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა პროზაიკოსი რუდოლფ სირგე. ლიივის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატია ცნობილი ესტონელი პოეტი ქალი დებორა ვაარანდი.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. ბურჯიძე, გ. ლეონიძე, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი, თ. ჯანგულაშვილი, უ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 68449 რედაქციის მისამართი: თბილისი, ჩიტაძის ქ. № 18, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-01, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების 9-87-10. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11768